



„აფხაზეთის პოლიტიკურ ძალთა დამოკიდებულებების განმსაზღვრელი
ფაქტორები ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებთან მიმართებით“

ნანა დავითაძე

2020 თბილისი

სარჩევი

აბსტრაქტი.....	iii
თავი I. შესავალი.....	1
1.1 კვლევის აქტუალობა და პრობლემის აღწერა.....	2
1.2 ნაშრომის მიზანი	3
1.3 საკვლევ კითხვები.....	4
1.4 ჰიპოთეზა/არგუმენტი.....	4
1.5 კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები	5
თავი II. ლიტერატურის მიმოხილვა.....	5
თავი III. „აფხაზეთის ომი და 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომი“	7
3.1 აფხაზეთის ომი (ომამდელი და შემდგომ განვითარებული მოვლენები) 1993-2008 წწ.	8
3.2 2008 წლის ომი და შემდეგ თბილისსა და სოხუმს შორის განვითარებული მოვლენები.	14
თავი IV. „აფხაზეთის დამოკიდებულება და მდგომარეობა რეგიონში.“	20
4.1. აფხაზეთის პოლიტიკური ძალებისა და სამოქალაქო საზოგადოების დამოკიდებულება ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებთან დაკავშირებით.	21
4.2 აფხაზეთის პოლიტიკური ძალების დამოკიდებულებაზე ფაქტორების გავლენა.....	26
დასკვნა	38
ბიბლიოგრაფია	41

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი განიხილავს აფხაზეთის პოლიტიკური ძალებისა და სამოქალაქო საზოგადოების შეხედულებებს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებთან დაკავშირებით. კერძოდ ნაშრომი იკვლევს აფხაზეთის დამოკიდებულებას საქართველოსთან მიმართებით და იმას, თუ რა ფაქტორებს აქვთ გავლენა ამ დამოკიდებულებაზე. ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შემაფერხებელი რამდენიმე ფაქტორი არსებობს, რომლებიც დეტალურად ნაშრომის ძირითად ნაწილში იქნება განხილული. ასევე განხილულია ის საშინაო და საგარეო ფაქტორები, რომლებიც აყალიბებენ არამხოლოდ აფხაზეთის დამოკიდებულებას ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებთან დაკავშირებით, არამედ საქართველოსა და რუსეთის დამოკიდებულებაც.

აღნიშნული საკითხი გაანალიზებულია სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურის კვლევის საფუძველზე და საბოლოოდ კომპეტენტური პიროვნებების ინტერვიუებით. ნაშრომი ეყრდნობა საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსისა და აფხაზეთთან დამოკიდებულ შეხედულებებს. ასევე მთავარი მიზანია გავიგოთ, თუ რა სახის გავლენა აქვთ ფაქტორებს, რომ მიმართულება მისცენ აფხაზეთის შეხედულებებს.

თავი I. შესავალი

ნაშრომში განხილულია აფხაზეთის პოლიტიკურ ძალთა დამოკიდებულება ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებთან მიმართებით. კვლევის საგანს წარმოადგენს კონფლიქტში ჩართულ მხარეებს შორის ურთიერთობები და აფხაზეთის პოლიტიკურ ძალთა დამოკიდებულება საქართველოსთან დაკავშირებით, ასევე უფრო კონკრეტულად რა ფაქტორებმა იქონია გავლენა აფხაზეთის პოლიტიკური ძალების დამოკიდებულების ფორმირებაში ქართულ-აფხაზურ ურთიერთობების პერსპექტივებზე.

ამავდროულად საკვლევი თემის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს აფხაზეთის პოლიტიკური ძალების შეხედულებები და მათ მიერ გატარებული საშინაო და საგარეო პოლიტიკა, აფხაზი პოლიტიკოსების დამოკიდებულება, როგორც საქართველოსთან ისე რუსეთთან მიმართებაში. რა მიზეზთა შედეგია გამწვავებული ურთიერთობები და რატომაა რადიკალურად განსხვავებული აფხაზეთის დამოკიდებულება რუსეთთან და საქართველოსთან დაკავშირებით. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკვლევ თემაში აშკარად გამოიკვეთა ფაქტი, რომლის მიხედვითაც თითქმის არცერთი აფხაზეთის პოლიტიკური ძალა არ განიხილავს აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების სცენარს. კვლევაში ამგვარად გამოიკვეთა არამარტო აფხაზეთის ძალოვანი სტრუქტურის ნეგატიური დამოკიდებულება ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებთან დაკავშირებით, არამედ აფხაზეთის მოსახლეობაში ფართოდ გავრცელებული მოსაზრება, რის მიხედვითაც საქართველოს აფხაზი მოსახელობა მტრად აღიქვამს, რუსეთს კი მოკავშირედ.

ნაშრომის მთავარ საკვლევ კითხვას წარმოადგენს თუ რა დამოკიდებულება გააჩნიათ აფხაზეთის პოლიტიკურ ძალებს საქართველოსთან მიმართებაში და რა ფაქტორების გავლენის შედეგია ეს . მთავარი კითხვა რაღა თქმა უნდა ბადებს ქვეკითხვას რის მიხედვითაც ინტერესის სფეროში ხდება საკითხი, თუ რა გამოწვევების წინაშე დგას აფხაზეთი კონფლიქტის შემდეგ სიტუაციიდან გამომდინარე, ასევე რა სახის

განსხვავებული დამოკიდებულებები აქვთ სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს საკითხთან დაკავშირებით და რისი გავლენის შედეგია ეს.

1.1 კვლევის აქტუალობა და პრობლემის აღწერა

ქართულ-აფხაზური ისტორია ყოველთვის დიდ ინტერესს ბადებდა სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებში. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთი ყოველთვის საქართველოს ინტერესის სფეროში ხვდებოდა კონფლიქტამდე და განსაკუთრებულად კონფლიქტის შემდეგაც. საქართველოსა და აფხაზეთს შორის წარმოშობილმა კონფლიქტმა დაარღვია საქართველოს ტერიტორიული ურღვეობის პრინციპი, სწორედ ამ და სხვა განმაპირობებელი მიზეზებიდან გამომდინარე საკითხი წლებია აქტუალურია საქართველოსთვის და იგი ჯერ კიდევ საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხილვის მნიშვნელოვან ნაწილად ითვლება.

საკვლევი თემა ეხება კონკრეტულად აფხაზეთის პოლიტიკური ძალების დამოკიდებულებას და შეხედულებებს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებთან დაკავშირებით, გავლენის ფაქტორებსა და შემაფერხებელ მიზეზებზე. ასევე ნაშრომის ფარგლებში მიმოვიხილავ არსებული სიტუაციას დღეს ამ ორ მხარეს შორის.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ თემის აქტუალობის მიუხედავად იგი ჯერ კიდევ არ არის საფუძლიანად გამოკვლეული, რაც ბევრად უფრო დიდ ინტერესს ბადებს ნაშრომის ირგვლივ. დაინტერესებულ მხარეებს შორის, განსაკუთრებით ხშირად შეიძლება შეგვხვდეს კვლევა კონფლიქტის თემაზე, ან ქართულ-აფხაზური ურთიერთობების განხილვა. თუმცა ეს ყველაფერი ქართული მხარის შეფასებებსა და დამოკიდებულებებს წარმოაჩენს აფხაზების მიმართ და კონკრეტულად კონფლიქტთან მიმართებაში. ჩემ მიერ წარმოდგენილი საკვლევი თემა კი საკმაოდ აქტუალურია, თუმცა ობიექტური ინფორმაცია ნაკლებად ხელმისაწვდომი. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე

სხვადასხვა არსებული წყაროების გამოყენებით მეცადა საერთო ფართოდ გავრცელებული შეხედულებების ჩამოყალიბება და მათი ერთ ნაშრომში თავის მოყრა.

აქვე დავამატებ იმასაც რომ აფხაზეთის პოლიტიკური ძალების შეხედულებები კონფლიქტთან დაკავშირებით რადიკალურად განსხვავდება ქართული მხარის შეხედულებებისაგან. აფხაზეთი საქართველოს გამუდმებით ადანაშაულებს მათ მიმართ იზოლაციონისტური პოლიტიკის გატარებაში. საქართველო კი ამ უკანასკნელს ქართველი ხალხის შევიწროვებასა და დისკრიმინაციაში სდებს ბრალს. ეს და სხვა მიზეზები ბადებს კონფლიქტს, რომელსაც გააჩნია ეთნიკური ფესვები და რომელიც კონფლიქტის მოგვარებას და ერთი ადგილიდან დაძვრას უშლის ხელს.

1.2 ნაშრომის მიზანი

ნაშრომი მიზანდ ისახავს ქართულ-აფხაზეთი ურთიერთობების შესწავლას და ამ ურთიერთობებზე გავლენის ფაქტორების კვლევას, რის შედეგადაც აფხაზეთის პოლიტიკურ ძალებს ჩამოყალიბდათ დამოკიდებულება საქართველოსთან მიმართებით. უფრო კონკრეტულად აფხაზეთის პოლიტიკური ძალების დამოკიდებულებას საქართველოსთან მიმართებაში. აღსანიშნავია, რომ კონფლიქტში ჩაბმული მხარეების ერთმანეთისგან გათიშულობამ წარმოშვა რიგი პრობლემები, რომლებმაც ბევრად უფრო შეაფერხა ურთიერთობების აღდგენა ამ ორ მხარეს შორის. ასევე თითქმის შეუძლებელი გახდა პოლიტიკური თუ სამოქალაქო დიალოგები, რის გამოც მოხდა მოსახლეობის გაუცხოება ერთმანეთისგან.

მნიშვნელოვანი ფაქტია რუსეთის მიერ რბილი ძალის გამოყენება და აფხაზეთში საქართველოზე ინფორმაციის ნაკლებობა, რაც წარმოშობს რიგ პრობლემებს. მათ შორის მცდარი ინფორმაციის გავრცელება. აფხაზეთი და მისი მოსახლეობა შეიძლება ითქვას ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებიან. სწორედ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ არაობიექტური ინფორმაცია ან საერთოდ მისი არარსებობა

იწვევს საქართველოზე მცდარი შეხედულებების ჩამოყალიბებას და ქართველი ხალხის მტრის ხატად წარმოჩენას.

1.3 საკვლევი კითხვები

საბოლოოდ კვლევა მიზნად ისახავს პასუხი გასცეს მთავარ კითხვას:

- რა ფაქტორების გავლენის შედეგი შეიძლება იყოს აფხაზეთის პოლიტიკური ძალების დამოკიდებულება ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებთან მიმართებაში?

ასევე აღსანიშნავია, რომ კვლევის ფარგლებში საჭირო გახდა დაფარულიყო რიგი ქვეკითხვებისა, რომლებზე პასუხებიც საბოლოო ჯამში გვეხმარება პასუხი გავცეთ კვლევის მთავარ კითხვას.

ესენია:

- როგორი სახის დამოკიდებულება გააჩნიათ აფხაზეთის პოლიტიკურ ძალებს საქართველოსთან ურთიერთობების მხრივ?
- აფხაზეთის პოლიტიკურ ჯგუფებს შორის რა განსხვავებული დამოკიდებულებებია, რომლებიდან გამომდინარეც ფორმირდება საქართველოსთან ურთიერთობები?

1.4 ჰიპოთეზა/არგუმენტი

საქართველოსთან ურთიერთობები ფორმირდება აფხაზეთის პოლიტიკური დამოკიდებულებებით რუსეთთან. აქედან გამომდინარე ფაქტია აფხაზეთზე დიდი გავლენა რუსეთის მხრიდან. აფხაზეთის მხარე რუსეთისთვის ისე, როგორც საქართველოსთვის უდიდეს მნიშვნელობას ატარებს, სწორედ ამიტომ რუსეთი სხვადასხვა ნაბიჯებით ცდილობდა ჯერ მასზე გავლენის მოპოვებას ახლა კი შენარჩუნებას.

დიდი მნიშვნელობა აქვს აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიის დამოკიდებულებას რუსეთზე განსხვავებულ სახელმწიფო სფეროებში. მაგალითად აფხაზეთი რუსეთზე დამოკიდებულია პოლიტიკურად და ეკონომიკურად.

1.5 კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები

კვლევაზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა კვლევის თვისებრივი მეთოდი, რაც გულისხმობს საბაზისო ნაშრომების, სტატიებისა და წიგნების შესწავლას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის კვლევის პროცესში საჭირო გახდა მეორადი წყაროების, სამეცნიერო ლიტერატურისა და სტატიების შესწავლა, რაც საკითხის ირგვლივ არსებობს. ამგავრი მიდგომა რელევანტურს ხდის კვლევის შედეგს და საჭიროა ნაშრომის ორიგინალურობის დასაზუსტებლად.

ნაშრომის ფარგლებში განხილულ იქნა სხვადასხვა ლიტერატურა საკითხის ირგვლივ, კონკრეტულად ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებსა და პერსპექტივებთან დაკავშირებით.

საკითხის შესწავლისას ასევე გამოყენებულ იქნა კონტენტ-ანალიზი, როგორც კვლევის ერთერთი საშუალება. კონკრეტულად კონტენტ-ანალიზი მოიცავს სხვადასხვა სტატიის, ინტერვიუსა თუ ვიდეო მასალის შესწავლასა და გაანალიზებას, რაც ნაშრომის შემთხვევაში განხორციელდა და გაანალიზების ხერხით დახარისხდა. კვლევის არგუმენტები გადასამოწმებლად ეყრდნობა სხვადასხვა ავტორების მიერ მოცემულ ნაშრომებს თემის ირგვლივ და მის სიღრმისეულად შესწავლას.

თავი II. ლიტერატურის მიმოხილვა

ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან დაკავშირებით უამრავი კვლევა, ნაშრომი თუ ინტერვიუ და ანალიტიკური სახის სტატია არსებობს. გამომდინარე იქედან, რომ

საკვლევი თემა საკამოდ აქტუალურია საქართველოსთვის მასზე ხშირად იწერება და თითქმის ყოველი დღის წესრიგში დგას ქართულ-აფხაზური ურთიერთობები.

ლიტერატურის მიმოხილვა დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად: პირველ რიგში მიმოხილულია კონფლიქტის შესახებ ანალიტიკური და სამეცნიერო ნაშრომები, რაც აღწერილობითი ხასიათისაა. შემდგომ უკვე საუბარია საქართველოს დამოკიდებულებაზე აფხაზეთის მიმართ და მის საგარეო პოლიტიკაზე, და ბოლოს განხილულია მესამე მხარის ინტერესები აფხაზეთთან მიმართებაში.

ცნობილი ავტორები, როგორებიც არიან პროფ. (გამახარია, 2020), ისტორიკოსი (Felenhauer, 2008), (ჯიშკარიანი, 2019), (ჩიტაძე, 2011), (Akaba & Khintba, 2011) და სხვები წერენ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან დაკავშირებით. რიგი ნაშრომებისა აღწერილობითი ხასიათისაა და მოიცავს აფხაზეთისა და საქართველოს შორის განვითარებული მოვლენებს. ლიტერატურის მიმოხილვის პროცესში განხილულ ინფორმაცია, სადაც მოცემულია აფხაზეთთან კონფლიქტის პრეისტორია, მოიცავს შორეულ წარსულს ასპექტებს და ასახავს ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირების გამწვავებას.

ლიტერატურის მიმოხილვის მეორე კატეგორიაა საქართველოს დამოკიდებულება აფხაზეთთან და დღევანდელი რეალობა. სიღრმისეულად იქნა განხილული საქართველოს დამოკიდებულება კონფლიქტთან მიმართებაში და განხილულ იქნა საქართველოს პოლიტიკა სეპარატისტულ რეგიონებთან მიმართებაში. გამომდინარე რუსეთის იმპერიული ინტერესებისა ეს ორი სახელმწიფო (იგულისხმება საქართველო-რუსეთი) ერთმანეთთან კონფრონტაციაში მოდიან.

აღსანიშნავია საქართველოს მთავრობის სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიებს მიმართ (მთავრობა, 2010), (კავაძე, 2020), (Kirova, 2012) (ჩიტაძე, 2011), (ჩიტაძე, 2011) ამ ნაშრომების მიხედვით ჩამოყალიბებულია და განხილული საქართველოს დღევანდელი დამოკიდებულება და პოლიტიკა აფხაზეთთან მიმართებაში და სამომავლო გეგმები, რის მიხედვითაც საქართველო ცდილობს კონფლიქტის მხარესთან ურთიერთობების დარეგულირებას და კეთილმეზობლური

ურთიერთობების აღდგენას, რაც უნდა ემსახურებოდეს ნდობის აღდგენისა და მხარეთა დაახლოების პოლიტიკას, რათა უფრო მარტივი გახდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

ლიტერატურის მიმოხილვის მესამე კატეგორია ეხება მესამე მხარის ინტერესებსა და გავლენებს რეგიონში.(იგულისხმება რუსეთი) (კავაძე, 2020), (Gerrits & Bader, 2016) (ჩიტაძე, 2018) (კანაშვილი, 2015) (ბილანიშვილი, 2018) ამ ავტორების ნაშრომებში მოცემულია რუსეთის დამოკიდებულება, როგორც კავკასიასთან ისე აფხაზეთთან მიმართებაში და განხილულია გავლენის ინტერესები, რომლებიც რუსეთს გააჩნია რეგიონში და სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე არ თმობს პოზიციებს. ასევე ნაშრომების მიხედვით აშკარადაა გამოხატული რუსეთის იმპერიული ინტერესები და საბჭოთა კავშირის დროინდელი ტერიტორიების დაბრუნების სურვილი. ისინი საუბრობენ შეფარდებით ძალაზე საქართველოსა და რუსეთს შორის, შეფარდებითი ძალის მიხედვით საქართველო სამხედრო თვალსაზრისით რუსეთს ვერასდროს გაუტოლდება, რაც გულისხმობს რუსეთის მხრიდან მუდმივ საფრთხეს. ასევე უნდა აღინიშნოს მიტმასნება-დაბალანსების თეორია, რომელ პოლიტიკასაც საქართველო იყენებს და ატარებს დასავლეთთან დაახლოების მიზნით რათა დააბალანსოს რუსეთი.

თავი III. „აფხაზეთის ომი და 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომი“

წინამდებარე თავი ეთმობა აღწერილობით სამუშაოებს, რომელიც აუცილებელი იყო იმისათვის, რომ თემა ქრონოლოგიურად და სტრუქტურულად გამართული ყოფილიყო. აღნიშნული თავის მიზანია მკითხველს წარმოადგენა შეუქმნას საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე და ფაქტებისა და სხვა წყაროების გააზრების საფუძველზე უკეთესად აღქმადი გახადოს ნაშრომის შემდგომ თავებში განვითარებული მსჯელობა.

ამ თავში განხილულია ორი ქვეთავი, მათგან პირველი მოიცავს აფხაზეთის ომის აღწერას. რომელშიც ჩართული იყო რუსეთი, რომლის გატარებული პოლიტიკაც მხარეთა შორის ეთნიკური კონფლიქტის განვითარებას ისახავდა მიზნად. ასევე საუბარია მის გეოსტრატეგიულ ინტერესებზე და მის მნიშვნელობაზე რეგიონში. ამ თავში მოკლედია განხილული აფხაზეთის ომის შემდგომ განვითარებული სიტუაცია და მნიშვნელოვანი ფაქტები, რომლებმაც გამოიწვია 2008 წლის მოვლენები და ომი.

პირველი თავის მეორე ქვეთავში საუბარია 2008 წელს განვითარებულ მოვლენებზე და საქართველოსა და რუსეთს შორის ჯერ დაძაბულ ურთიერთობებზე შემდეგ კი 2008 წლის 8 აგვისტოს ომზე. მეორე ქვეთავში მოყვანილია სხვადასხვა არგუმენტები და ქრონოლოგიური ფაქტები, რაც ნათლად ასახავს საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობების ჯერ საგრძნობლად გაფუჭებას, მთავრობის ცვლილებასთან ერთად კი მის შეცვლას. ნაშრომის მეორე ქვეთავში განხილულია საერთაშორისო საზოგადოება, რომელიც ჟენევის პლათფორმით ცდილობდა ურთიერთობების დარეგულირებას ამ სახელმწიფოებს შორის.

3.1 აფხაზეთის ომი (ომამდელი და შემდგომ განვითარებული მოვლენები) 1993-2008 წწ.

პირველი ქვეთავის აღწერილობიდან გამომდინარე საუბარია აფხაზეთის ომზე, კონკრეტულად მის საწყისებზე და შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე, რომლებმაც გარკვეულწილად იქონიეს გავლენა დღევანდელ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე.

აფხაზეთი საქართველოსთვის წლების განმავლობაში აქტუალურ თემას წარმოადგენდა და დღემდე ექცევა მისი ინტერესის სფეროში. ოკუპირებული ტერიტორია დიდწილად განსაზღვრავს საქართველოს პოლიტიკას და მის საგარეო ურთიერთობებს. ნაშრომის მოცემულ თავში განხილულია ქართულ აფხაზური ურთიერთობები და აფხაზეთის ომი, რომელმაც დიდი გავლენა იქონია შემდგომ ურთიერთობებსა და პოლიტიკაზე კავკასიაში. ამ ომში რუსეთის ჩართულობა კი ხაზს

უსვამს მის სასიცოცხლო ინტერესებს რეგიონში და აღნიშნავს, რომ აფხაზეთი, ისევე, როგორც დანარჩენი საქართველო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია რუსეთის საგარეო პოლიტიკაში. აფხაზეთის ომს თან ახლდა ეთნიკური კონფლიქტი, რომელიც ბევრად უფრო ადრე წარმოიშვა ვიდრე უშუალოდ დაიწყებოდა სამხედრო დაპირისპირება ამ უკანასკნელსა და საქართველოს შორის 1992 წელს.

1921 წელს საბჭოთა კავშირის მიერ განხორციელდა საქართველოს ოკუპაცია, სადაც 1931 წელს მოხდა აფხაზეთის სოციალისტური რესპუბლიკის გაუქმება და მისი საქართველოსთვის მიერთება ავტონომიის სახით, რომელმაც იარსება 1990 წლამდე. საბჭოთა კავშირის რღვევასთან ერთად წინ წამოიწია აფხაზეთის პრობლემაც. სწორედ ამ დამაბულობის პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის ეთნიკურად აფხაზმა შემადგენლობამ გამოთქვა სურვილი ხელახლა გადახედილიყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი. ეს ფაქტი თავისთავად შეიძლება შეფასდეს, როგორც სეპარატისტული განზრახვა და დაპირისპირების წინაპირობა საქართველოსა და აფხაზეთს შორის. უნდა აღინიშნოს, რომ გაქდერებული ინიციატივა საკმაო პოპულარობით სარგებლობდა აფხაზ მოსახლეობაშიც, რამაც განაპირობა უკვე შემდგომინდელი მოვლენები. უკვე 1989 წელს აფხაზეთში სიტუაცია დაიძაბა და სწორედ ამას მოჰყვა ქართველებსა და აფხაზებს შორის დაპირისპირებაც, რასაც აქვე უნდა აღინიშნოს მსხვერპლის გარეშე არ ჩაუვლია. (გამახარია)

აფხაზური სეპარატიზმი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს იძენდა ორგანიზებულ ხასიათს, სწორედ ამის ერთ-ერთი სერიოზული გამწვავება ემთხვევა სსრკ-ს 1978 წელს მიღებულ კონსტიტუციას, რომლის მიხედვითაც აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას საშუალება მიეცა სტატუსის გადახედვის მოთხოვნა წამოეყენებინათ. 1990 წელს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა ვლადისლავ არძინბა. აღსანიშნავია, რომ არძინბა თავისი ანტიქართული პოზიციით იყო ცნობილი და სწორედ ეს განაპირობებდა აფხაზი ხალხის სიმპათიებს მის მიმართ. 1990 წელს აფხაზეთი გამოცხადებულ იქნა სრულუფლებიან მოკავშირე რესპუბლიკად, სწორედ ამ მოვლენების კვალდაკვალ აფხაზეთმა მხარი დაუჭირა სსრკ-ს შენარჩუნებას

ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე და აღადგინა 1925 წლის კონსტიტუცია. 1925 წლის კონსტიტუცია აფხაზეთს განსაზღვრავდა“ სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკასთან გაერთიანებულ რესპუბლიკას“. უნდა აღინიშნოს, რომ ეს აშკარა დამოუკიდებლობის გამოცხადებად უნდა მიეღო ქართულ მხარეს, რასაც მოჰყვა საქართველოს ხელისუფლების რეაგირება და ურთიერთობების გაუარესება, საბოლოოდ კი სამხედრო დაპირისპირება. (CONSTITUTION, 1936. 1978.)

1991 წლის 9 აპრილს საქართველომ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე მიიღო დეკლარაცია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე საქართველო აღმოჩნდა პირველი რესპუბლიკა, რომელმაც დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ გააკეთა განცხადება. ამ ფაქტმა კიდევ უფრო განარისხა რუსეთი და უფრო მეტად გაუჩინა სურვილი ხელი შეეშალა საქართველოს დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის განვითარებისათვის. უკვე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან იწყება დაპირისპირება საქართველოსა და აფხაზეთს შორის, რასაც მოჰყვება სიტუაციის გამწვავება და 1992 წელს სამხედრო დაპირისპირება. მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო დაპირისპირება 1993 წელს დასრულდა ენთიკური კონფლიქტი ამ ორ მხარესა და დაინტერესებულ მესამე მხარეს შორის ჯერ კიდევ გრძელდება. (Dale, 1997)

შემთხვევითი არ არის, რომ ძირითადი ეთნიკური კონფლიქტები პოსტ საბჭოთა სივრცეში ხდება და უკავშირდება პერიოდს, როდესაც სოციალისტური ბანაკი დაიშალა. სანამ უშუალოდ აფხაზეთის ომის განხილვა განხორციელდება საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობა შეიცვალა და ზვიად გამსახურდია ჩაანაცვლა ედუარდ შევარდნაძემ. ედუარდ შევარდნაძის საქართველოს მთავრობაში მოსვლას მოჰყვა სხვადასხვა ცვლილებები, რომლებიც ზოგი პირდაპირ ზოგიც კი არაპირდაპირ უკავშირდებოდა აფხაზეთს და იწვევდა აფხაზი ხალხის უკმაყოფილებასა და კიდევ უფრო მეტად გაღიზიანებას. სწორედ ამ და სხვა ფაქტორებს მივყავართ მოვლენების კულმინაციამდე და ომამდე. ომი 13 თვეს გაგრძელდა, რასაც მსხვერპლი მოჰყვა,

როგორც საქართველოს მხრიდან ისე აფხაზეთის მხრიდანაც. 230 ათასამდე ქართველი იძულებული გახდა დაეტოვებინათ საკუთარი საცხოვრებელი ადგილები და თავი საქართველოს სხვა მხარეებისთვის შეეფარებინათ.

იმპერიულმა ცენტრმა საქართველოს მიერ საბჭოთა კავშირის დატოვების შედეგად ბევრად უფრო აგრესიულ ხერხებს მიმართა და შეეცადა ქართულ-აფხაზური ურთიერთობები პერმანენტულად დაჯახებოდნენ ერთმანეთს, მას კი ამ დროს მედიატორის როლი უნდა ეკისრა. სწორედ ამგვარი გეგმა გულისხმობდა რუსეთის გამარჯვების დასაწყისს და „დაყავი და იბატონეს“ პრინციპით ტერიტორიებისა და ხალხის დაშორებას. სეპარატისტულმა იდეამ, რომელიც ზემოთ აღინიშნა დამოუკიდებლობის მოთხოვნაში გამოიხატა და ნოყიერი ნიადაგი მისცა “ეთნონაციონალიზმის“ განვითარებას.

მიუხედავად იმისა, რომ ცეცხლი 1993 წელს შეწყდა ქართულ-აფხაზური ურთიერთობები დღემდე გაყინულია და პროგრესი არ შეინიშნება. ამ პროცესებზე ნაწილობრივი პასუხისმგებლობა საქართველოს ეკისრება მის მიერ გადადგმული ნაბიჯებიდან გამომდინარე, თუმცა უნდა აღინიშნოს მთავარი ფაქტორი-რუსეთი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს, რომ აფერხებს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აღდგენას და ართულებს სიტუაციას რეგიონში.

13 თვიანი ბრძოლის შემდეგ 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა. ცხადია ტრაგიკულმა შემთხვევამ ათასობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა და ასი ათასობით ადამიანი დევნილად აქცია. „ფაქტობრივად საქართველომ დაიჩოქა“ - ამ სიტყვებით შეაფასა საქართველოს იმდროინდელი მთავრობის მეთაურმა, ედუარდ შევარდნაძემ განვითარებული მოვლენები და საერთაშორისო საზოგადოებას დახმარებისათვის მიმართა. (თარხნიშვილი, 2018)

ედუარდ შევარდნაძე დიდი ხნის განმავლობაში დასავლეთიდან ელოდა დახმარებას, მან გაეროს გენერალურ მდივანს წერილითა და თხოვნითაც კი მიმართა, სადაც იგი საუბრობს დამაბულ სიტუაციასა და საფრთხეებზე, რაც ქვეყანაში შეიძლებოდა

განვითარებულიყო. რაკი იმედებმა არ გაამართლა, ედუარდ შევარდნაძე იძულებული გახდა რუსეთთან დაახლოების პოლიტიკა გაეტარებინა. სწორედ ამ დამაბულობის ფონზე 1993 წლის სექტემბერში საქართველოს იმდროინდელი მმართველი რუსეთის პრეზიდენტს, ბორის ელცინს უგზავნის ტელეგრამას, რომლის მიხედვითაც ამცნობს გადაწყვეტილებას საქართველოს დსთ-ში გაწევრიანების თაობაზე.

აფხაზეთის კონფლიქტის პერიოდში საქართველო დახმარების გარეშე დარჩა. ედუარდ შევარდნაძემ გაეროს დახმარება სთხოვა, თუმცა გაეროსგან პასუხად მზადყოფნა არ მიუღია, რამაც მეტწილად განსაზღვრა შევარდნაძის არჩევანი დსთ-ში გაწევრიანების სახით.

საბოლოოდ კონფლიქტის პრევენციის მიზნით 1994 წელს მოსკოვში ქართველ წარმომადგენლებსა და აფხაზ სეპარატისტებს შორის გაფორმდა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტასთან დაკავშირებით. (Agreement on a Cease-Fire and Separation of Forces., 1994) აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე რუსულ ჯარს საშუალება მიეცა სამშვიდობო მისიის როლი ეკისრა. მუხედავად იმისა, რომ რუსეთი პირდაპირ თუ არა ირიბად ჩართული იყო ომში და მოახდინა ჯერ კონფლიქტის პროვოცირება შემდეგ კი უკვე მისი იმ ეტაპამდე მიყვანა, რომ მისი გადაჭრა რთული ან თუნდაც შეუძლებელი ყოფილიყო. ქვეყანაში სიტუაციის უარესად გამწვავების თავიდან ასაცილებლად საქართველო დათანხმდა რუსეთის შუამავლობას. უკვე შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა ცხადი გახადა რუსეთის ინტერესები რეგიონში და ცხადყო, რომ რუსული ჯარის სამშვიდობო მისიით გამოყენება და ტერიტორიაზე შემოშვება ემსახურებოდა რუსეთის სტრატეგიულ მიზნებს და იგი კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებაზე არ ყოფილა ორიენტირებული. (Watch, 1995).

საბოლოო ჯამში, განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე ფაქტია, რომ რუსეთმა შეძლო მიზამიმართული პოლიტიკით შეექმნა აფხაზეთში მართვადი გრძელვადიანი კონფლიქტი. სეპარატიზმის წახალისებითა და მათი უპირობო მხარდაჭერით. საბოლოოდ ამ მოქმედებებმა საქართველო მიიყვანა იმ ფაქტამდე, რომ

დაკარგა სოხუმი და შემდგომ განვითარებული მოვლენებით კი მთლიანად აფხაზეთი. აფხაზეთის ომის შემდეგ სიტუაცია ნეგატიურად შეიცვალა, თუმცა კონკრეტულად ომთან დაკავშირებით და მის მსხვერპლთან დაკავშირებით ფაქტებიც აუცილებელია მხედველობაში გვქონდეს. ომის შედეგები რთული და აღმოუფხვრელი აღმოჩნდა არამხოლოდ რეგიონისთვის და იქაური მოსახლეობისათვის, არამედ მთლიანად საქართველოსთვის. აფხაზეთიდან დევნილად იქცა თითქმის 300 ათასი ქართველი და 40 ათასამდე აფხაზი. აღსანიშნავია, რომ სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შედარებით ყველაზე მეტად ქართული მოსახლეობა დაზარალდა. მათ შორის იყო მშვიდობიანი მოსახლეობა და სამხედრო პირებიც, რომელთაც იძულებით მოუწიათ საცხოვრებლების დატოვება. აქვე აღსანიშნავია ის დიდი მსხვერპლი, რომელიც ომს მოჰყვა და ადამიანები, რომლებიც სახალხოდ დახვრიტეს, მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის იბრძოდნენ და ასევე ცდილობდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის გადარჩენას ან კონფლიქტის ლოკალურ დონეზე გადაწყვეტას.

2003 წლის ვარდების რევოლუცია იყო ის გარდამტეხი ფაქტორი საქართველოს ისტორიაში, როდესაც ქართულმა მხარემ გადაწყვიტა ღიად და უფრო აქტიურად განეხორციელებინა დასავლური საგარეო კურსი, ყველაფრის მიუხედავად და უფრო თამამი ნაბიჯები გადაედგა ნატოსა და ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე. (ზურაბიშვილი, 2018)

აქვე უნდა აღინიშნოს 2006 წელს მომხდარი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომლის მიხედვითაც ქართულმა მხარემ ჯაშუშობის ბრალდებით 4 რუსი ოფიცერი დააკავა და მათი გადაცემა საჯაროდ მოახდინა, რამაც არათუ გააღიზიანა რუსეთი არამედ მნიშვნელოვნად გააუარესა ქართულ-რუსული ურთიერთობები.

ამ და სხვა მოვლენებმა, რომლებიც 1993 წლის შემდეგ ვითარდებოდა აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოში, სახელმწიფო მძიმე შედეგებამდე მიიყვანა. ამის ერთ-ერთი

მაგალითი 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომია, და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია, ასევე მათი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება რუსეთის მხრიდან.

რუსეთი თავის პოლიტიკას საქართველოსთან მიმართებით წლების განმავლობაში აყალიბებდა და საქართველოს წლების განმავლობაში თავისი გავლენის ტერიტორიად მიიჩნევდა. ამის აშკარა მაგალითია მის მიერ გატარებული პოლიტიკა და გაფრთხილებები, რომლებითაც იგი საქართველოს მიმართ გამოიჩინოდა. მაგალითად, აღსანიშნავია რუსეთის პარლამენტის წევრის- ანდრეი კოკოშინის განცხადებები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით, სადაც იგი აშკარად ხაზს უსვამს და აღნიშნავს, რომ: „რუსეთი არ არის დაინტერესებული საქართველოში არასტაბილური გარემოს შექმნით და მისი სახელმწიფოებრიობის რღვევით. ერთ-ერთი მიზანი არის ის, რომ რუსეთს სურს საქართველომ გაითვალისწინოს მისი ინტერესები რეგიონში და ამ ინტერესების გათვალისწინებით სტრატეგიული პარტნიორობა გაუწიოს მას“ (Кокосин, 2004)

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის სახელმწიფო წლების განმავლობაში ცდილობდა ეთნიკურ ნიადაგზე კონფლიქტის შექმნას. ამის სურვილი კი გაამძაფრა საქართველოს მიერ საბჭოთა კავშირის დატოვებამ და მისმა გეოსტრატეგიულმა ინტერესებმა. თბილისსა და სოხუმს შორის დამაბული ურთიერთობები ერთ-ერთი ხაზგასასმელი ფაქტია, საიდანაც გამომდინარეობს პერსპექტივები ამ მხარეებს შორის დიალოგთან დაკავშირებით.

3.2 2008 წლის ომი და შემდეგ თბილისსა და სოხუმს შორის განვითარებული მოვლენები.

ოფიციალურად 2008 წლის 8 აგვისტოს დაიწყო ომი საქართველოსა და რუსეთს შორის. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ომამდელი სიტუაცია და რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და საჰაერო ზონების უხეში დარღვევა, რასაც საპასუხოდ 7 აგვისტოს საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით ქართული ჯარის ცხინვალში გაგზავნა მოჰყვა. 5 დღის განმავლობაში

ქართველი ჯარისკაცები იბრძოდნენ სამხრეთ ოსეთში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად. შეტაკებებს უამრავი მსხვერპლი მოჰყვა. მნიშვნელოვანი საკითხია საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ასევე ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის საკითხი, რომელიც აღსანიშნავია, რომ ხორციელდებოდა არამარტო 2008 წლის ომის პერიოდში, არამედ აფხაზეთის ომშიც. ომის დაწყებიდან უკვე ორ დღეში 10 აგვისტოს ქართულმა მხარემ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ განცხადება გააკეთა, თუმცა რუსული ჯარები შეტაკებებს ტერიტორიაზე აგრძელებდნენ და უფრო მეტიც, სცდებოდნენ მის საზღვრებს. აღსანიშნავია სიტუაციაც აფხაზეთში, სადაც რუსული ჯარები პოზიციებს იმაგრებდნენ აფხაზეთის საზღვართან და ფოთის პორტში საზღვაო კორდონს აყენებდნენ. 12 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი თავის ჯარებს ცეცხლის შეწყვეტისაკენ მოუწოდებს. ამ მოვლენების შემდეგ საქართველო იძულებულია დატოვოს, როგორც სამხრეთ ოსეთის ტერიტორია, ისე კოდორის ხეობაც. აღსანიშნავია, რომ კოდორი იმ დროისათვის აფხაზეთის ერთადერთი ნაწილი იყო, რომელსაც ქართული მხარე აკონტროლებდა. მნიშვნელოვანი თარიღია 16 აგვისტო, როდესაც ქართულმა და რუსულმა მხარემ ხელი მოაწერეს სამშვიდობო ხელშეკრულებას. შეთანხმება მხარეებს ავალდებულებდა გაეყვანათ მათი საჯარისო დანაყოფები პირვანდელ პოზიციებზე. თუმცა მნიშვნელოვანია ფაქტია, რომ შეთანხმების შემდეგაც, რუსეთის საჯარისო ფორმირებები რჩებოდნენ, როგორც სამხრეთ ოსეთის ნაწილში ისე დანალცენი საქართველოს ტერიტორიაზეც. (ბატაშვილი, 2019)

2008 წელს განვითარებულ მოვლენებზე გარკვეულწილად იმოქმედა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებამ და ნატოს ბუქარესტის სამიტმა. ამ სამიტის შემდეგ გაჩნდა იმედები, რომ საქართველო გახდებოდა ნატოს წევრი ახლო მომავალში. ამ მოვლენების კვალდაკვალ იწყება რუსული აგრესიის ზრდა და მისი საგარეო პოლიტიკის საქართველოს მიმართულებით ცვლილება. სტრატეგიული პოლიტიკის მიხედვით საქართველო რუსეთის გავლენის სფეროდ

მოიაზრება, რაც საქართველოს ავალდებულებს გაატაროს პოლიტიკა რუსეთის სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით, თუმცა ქართული პოლიტიკური კურსი საპირისპიროდ არის მიმართული, რაც უკვე ურთიერთობების დაძაბვას იწვევს სახელმწიფოებს შორის და რუსეთს აძლევს მოტივაციას გამოიყენოს თუნდაც სამხედრო ძალა ამ ინტერესებისა და პოლიტიკის შესაკავებლად. (იგულისხმება საქართველოს დასავლური კურსი).

2008 წლის ომმა სერიოზულად დააზიანა ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა და მათი უმეტესი ნაწილი იძულებული გახდა დაეტოვებინათ საკუთარი სახლ-კარი. ევროკავშირის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით 2008 წლის 8 აგვისტოს ომს შეეწირა 850-მდე ადამიანი და მათ შორის 365 ოსი. 100 ათასამდე ადამიანი კი დარჩა საკუთარი საცხოვრებლის გარეშე, რამაც იძულებული გახდა ისინი დაეტოვებინათ ტერიტორია და თავშესაფარი დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაზე ეპოვათ. (Schwartz, Barnard, & Chivers., 2008)

2008 წლის 26 აგვისტოს მოხდა რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და სახმრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება, რაც სინამდვილეში ამ ტერიტორიების ოკუპაცია იყო. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ოკუპაციას და რუსეთის ინტერესებს რეგიონში. მნიშვნელოვანია საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულება მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით და მათი ძალისხმევა, რომელიც ჰუმანიტარულ დახმარებაში გამოიხატა. ამით დასავლეთის საზოგადოებამ ხაზი გაუსვა რუსულ აგრესიას და იყო მცდელობა საქართველოსთვის სათანადო დახმარება გაეწიათ. 4 სექტემბერს საქართველოში ჩამოდის ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი, რომელმაც საქართველოს ერთი მილიარდი დოლარის ოდენობის დახმარების შესახებ ამცნო. ეს დახმარება გამიზნული იყო ომის შემდგომი სამუშაოების ჩატარებისათვის და ტერიტორიაზე შემოჭრის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად. დიკ ჩეინი ასევე აცხადებს, რომ რუსეთის ამგვარ ნაბიჯები სერიოზულ ჩრდილს აყენებს საერთაშორისო ასპარეზზე მის სანდოობას (2013). აღსანიშნავია, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში, აშშ-სა და დასავლეთის სხვა

სახელმწიფოებს სამხედრო დახმარება არ მიუწოდებიათ საქართველოსთვის. თუმცა მეორე მხრივ ამერიკის მხიდან განხორციელდა პირველი ნაბიჯი და დაიწყო ჰუმანიტარული დახმარებების გაწევა. მთლიანობაში საქართველომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან თუ ორგანიზაციიდან მიიღო 4.45 მლრდ აშშ დოლარის ოდენობით თანხა. ეს თანხა მოხმარდა კერძო და საჯარო სექტორებს, რაც გულისხმობს: ბანკებისა და საბიუჯეტო დახმარებას, ასევე დევნილების მატერიალურ და ფინანსურ დახმარებას. გამოიყოფა რიგი ქვეყნებისა, რომლებმაც მნიშვნელოვანი წილი შეიტანეს საქართველოს დახმარებაში, მაგალითად-იაპონია საქართველოს 200 მლნ აშშ დოლარით დაეხმარა, მსოფლიო ბანკის ჯგუფი 880 მლნ დოლარით, ევროკავშირი 648 მლნ დოლარით და ა.შ. ჰუმანიტარულ დახმარებას საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ომით დასუსტებულ ქვეყანას ამ თანხებისა და დახმარების გარეშე გაუჭირდებოდა ქვეყანაში სიტუაციის გაუმჯობესება და საერთაშორისო ასპარეზზე არსებობა რიგი პრობლემების გარეშე. (პაპავა, 2013)

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები შეწყდა 2008 წლის სექტემბერში. შეწყდა ურთიერთობები საერთაშორისო ურთიერთობების თითქმის ყველა მიმართულებით. 2012 წელს გამართულ ჟენევის მოლაპარაკებებში მონაწილეობდნენ საქართველო, რუსეთი და ამერიკის შეერთებული შტატები. თუმცა აღინიშნა, რომ ორ სახელმწიფოს შორის პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობების მოგვარება საერთაშორისო ხელშეწყობით ორი ქვეყნის საქმეა.

ცალსახაა აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ ეკონომიკური ურთიერთობების დალაგებით საქართველოსა და რუსეთს შორის ნორმალიზაციის ლიმიტი ამოიწურა და ქართულ-რუსული ურთიერთობები ჩიხშია შესული. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ- გრიგორი კარასინმა საქართველოსთან დაკავშირებით გამოცემა „კომერსანტთან“ ინტერვიუში განაცხადა. მისი თქმით ქართული მხარე უნდა მოერიდოს და შეეშვას იმაზე ფიქრს, რომ ქართულ-რუსული ურთიერთობების ნორმალიზება რაიმე სახის გავლენას იქონიებს რუსეთსა და აფხაზეთს ან რუსეთსა და სამხრეთ ოსეთის

ურთიერთობებზე. კარასინის თქმით ქართველებს მოსწონთ იმის თქმა, რომ რუსეთთან ურთიერთობების რეგულაციით ამ უკანასკნელს უარს ათქმევინებენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მათ აღიარებაზე. მისი თქმით რუსეთმა საქართველოს არაერხელ მოუწოდა მსგავსი იმედების არ ქონასთან დაკავშირებით და ბოლომდე უარყო რუსეთის მიერ აღიარების გაწვევის საკითხი, როგორც გავლენის შესუსტება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე. (ახალაია, 2018)

საქართველოს მხრიდან შეუძლებლადაა აღქმული რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობების ბოლომდე აღდგენა ორი მიზეზიდან გამომდინარე; 1. მანამ სანამ რუსეთი არ გაიყვანს თავის სამხედრო ძალებს საქართველოს ტერიტორიიდან და 2. არ გააუქმებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების აღიარების გადაწყვეტილებას. ასევე სამომავლოდ რუსეთმა უნდა შეამციროს თავისი გავლენა ამ ტერიტორიებზე და ქართულ მხარეს მისცეს საშუალება მშვიდობიანი გზებით აღადგინოს ურთიერთობები და მიმოსვლა აფხაზეთსა და ცხინვალში.

რუსეთის მაგალითიდან, რომ განვიხილოთ ქართულ-რუსულ ურთიერთობებს ახასიათების ჩიხში შესვლა და განვითარების დაბალი მაჩვენებელი. ამისათვის ორი მთავარი მიზეზი იქნა შემოთავაზებული მსჯელობის განსამტკიცებლად; 1. საქართველომ უარი უნდა თქვას ევროატლანტიკურ საგარეო კურსზე. იგულისხმება, რომ უნდა გამოაცხადოს ნეიტრალიტეტი და ასევე რუსეთის სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით უნდა შეიმუშაოს ახალი სტრატეგიული კურსი და 2. საქართველომ იურიდიულად უნდა აღიაროს ოკუპაციის შედეგები და სცნოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების დამოუკიდებლობა.

აღნიშნული თავის შესაჯამებლად აუცილებლად უნდა გამოვყოთ სხვადასხვა ფაქტორები, რომლებმაც საქართველო ომამდე მიიყვანა და შემდგომ უკვე შედეგად ოკუპირებული ტერიტორიების სახით საქართველოს 20% ჩამოაცილა. არსებობს ფაქტორთა ერთობლიობა რამაც გამოიწვია დაპირისპირებები. პირველ რიგში ეს იყო ლოკალური კონფლიქტი, რომლის ხანგრძლივი დროით გაგრძელება მოხდა და

რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად ბევრად უფრო გამწვავდა. აფხაზეთის ომი და საქართველოსთან დაპირისპირება პირდაპირ კავშირშია საქართველოს მიერ საბჭოთა კავშირის დატოვების ფაქტთან და მის მიერ დამოუკიდებლობის აღიარებასთან. სწორედ ამ ფაქტების შემდეგ მოხდა რუსეთის მხრიდან აგრესიის ზრდა და შურისმაძიებლური ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც სერიოზულ ზიანს აყენებდნენ საქართველოს.

დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან საქართველომ ვერ შეძლო გაწონასწორებული პოლიტიკის შემუშავება რუსეთთან მიმართებით. რომელიც შეძლებისდაგვარად დააბალანსებდა რუსეთს და საქართველოს კი განვითარებისა და წინ წასვლის შანსს მისცემდა. აღსანიშნავია რუსეთის იმპერიული ინტერესები რეგიონში რომლებმაც განაპირობა აფხაზეთის ომი და 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომი. ომის შედეგები საგრძნობლად ტრაგიკული იყო. დაიღუპა უამრავი ადამიანი და უფრო მეტი იძულებული გახდა საცხოვრებელი ადგილები დაეტოვებინა და სხვაგან ეძია თავშესაფარი. აღსანიშნავია, რომ ომმა არამარტო აფხაზეთი ან ცხინვალი დააზიანა, არამედ დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაც. საერთაშორისო საზოგადოების უმოქმედობამ და გვერდზე გადგომამ კი შეიძლება დავასკვნათ, რომ გამოიწვია რუსეთის სახელმწიფოს უფრო მეტად გათამამება და მეტი გაბედული ნაბიჯის გადადგმა.

1992-1993 წლებში რუსეთმა საქართველოს აჩვენა, რომ საბჭოთა კავშირის დატოვება და დამოუკიდებლობის გამოცხადება საქართველოსთვის შემდგომ რთულ შედეგებს მოიტანდა. შემდეგ განვითარებული მოვლენები კი სწორედ ამ ფაქტს უსვამს ხაზს. აქედან გამომდინარეა სიტუაცია საკმაოდ დაძაბული და ჯერჯერობით პრობლემის გადაჭრას არ ექვემდებარება. ასევე უნდა აღინიშნოს 2008 წლის ომი, რომლის მიხედვითაც რუსეთმა, როგორც საქართველოს, ისევე მთელ მსოფლიოს დაანახა თავისი გავლენის ტერიტორიები. ის, რომ პოსტსაბჭოთა სივრცე რუსეთის ძალაუფლების გავრცელების არეალია და საერთაშორისო თანამეგობრობის ან ნატოს თავის საზღვრებთან ახლოს არ დაუშვებს კიდევ ერთხელ შეახსენა ყველას.

თავი IV. „აფხაზეთის დამოკიდებულება და მდგომარეობა რეგიონში.“

ნაშრომის შინაარსიდან გამომდინარე აფხაზეთის პოლიტიკური ძალებისა და საზოგადოების დამოკიდებულება დიდ გავლენას ახდენს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე. ამ დამოკიდებულებაზე კი ასევე გავლენას ახდენს ფაქტორები, რომლებიც აფხაზეთშია განვითარებული.

წინამდებარე თავი დაყოფილია ქვეთავებად, სადაც კონკრეტულად საუბარია პირველ რიგში აფხაზეთის პოლიტიკური ძალებისა და სამოქალაქო საზოგადოების დამოკიდებულებებზე საქართველოს მიმართ, შემდგომ უკვე ფაქტორებია გამოყოფილი, რომლებიც გავლენას ახდენენ თბილისსა და სოხუმს შორის დიალოგის დაწყებასა და შეფერხებაზე. გავლენის ფაქტორებში რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტზეა ხაზი გასმული, ესენია: 1. ეთნიკური დაპირისპირება, ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთუნდობლობა და აფხაზების მიერ საქართველოს მტრის ხატად წარმოჩენა. 2. მეორე ფაქტორი, რომელიც განხილულია წინამდებარე თავში ეხება საქართველოსა და საერთაშორისო საზოგადოებას. მათ დამოკიდებულებებს აფხაზეთის მიმართ, რაც გავლენას ახდენს აფხაზებზე. 3. მესამე და მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე არის რუსეთის ფედერაცია, მისი გეოსტრატეგიული ინტერესები და პოლიტიკა, რომელსაც ტერიტორიებზე კონტროლის შესანარჩუნებლად მიმართავს. საბოლოოდ მეორე თავში განხილულია სიტუაცია და მოვლენების განვითარების ციკლი აფხაზეთში დღეის მდგომარეობით. ეს საჭიროა, რადგან წარმოიქმნას ზოგადი შეხედულებები იმ ცვლილებებთან დაკავშირებით, რომლებიც დღეს ხორციელდება აფხაზეთში და ხაზი გაესვას აფხაზეთის პოლიტიკურ ელიტაში ცვლილებებს, რაც ერთის მხრივ შესაძლოა არ ნიშნავდეს საქართველოსთან დაახლოების პერსპექტივას, თუმცა რუსეთის დამოკიდებულებიდან გამოსვლა ნელი ტემპებით მაინც დადებითად შეფასდეს. აქვე უნდა დაემატოს სახალხო დიპლომატია და მისი გავლენები. სწორედ სახალხო დიპლომატიის გავლენები შეიძლება შეფასდეს

დადებითად წინამდებარი თავის მიხედვით და ურთიერთობების პერსპექტივები წარმოქმნას.

აფხაზეთში სიტუაცია არცთუ დაბალანსებულია. აფხაზეთი პოლიტიკურად და ეკონომიკურად რუსეთზე გახდა დამოკიდებული და თავის პოლიტიკას სწორედ რუსეთის გათვალისწინებით წარმართვას. გამომდინარე განვითარებული მოვლენებიდან და ქართულ-რუსული ურთიერთობიდან, ასევე აქვე უნდა ვახსენოთ საქართველოს დასავლური კურსი, წარმოაჩენს რუსეთისა და რუსეთიდან გამომდინარე აფხაზეთის დამოკიდებულებას საქართველოსთან დაკავშირებით. რუსეთს ისევე, როგორც საქართველოს გააჩნია ინტერესები რეგიონში, თუმცა მათი ინტერესები განსხვავდება ერთმანეთისგან. ერთის მხრივ ეს არის საქართველოს ინტერესი დაიცვას ტერიტორიული მთლიანობა და საზღვრების ურღვეობა, რის გამოც კონფრონტაციაშიც კი შევიდა საქართველო და დაუპირისპირდა როგორც აფხაზეთის ეთნიკურ უმცირესობას, ისე რუსეთსაც და მეორეს მხრივ რუსეთის ფედერაცია, რომელსაც გააჩნია სასიცოცხლო ინტერესები რეგიონში, რაც გულისხმობს რეგიონზე კონტროლის მოპოვებასა და შემდგომ შენარჩუნებას და ასევე ნებისმიერ ფასად ნატოსა და ევროკავშირის შეკავება, რადგან ისინი რუსეთის მიმდებარე ტერიტორიაზე არ გაფართოვდნენ. სწორედ ამ ინტერესების გამო არ ერიდება საერთაშორისო სამართლის პრინციპების დარღვევის შემთხვევებსაც.

4.1. აფხაზეთის პოლიტიკური ძალებისა და სამოქალაქო საზოგადოების დამოკიდებულება ქართულ-აფხაზეთურ ურთიერთობებთან დაკავშირებით.

აფხაზ პოლიტიკურ ძალებსა და საზოგადოებას დღეს საკმაოდ ნეგატიური დამოკიდებულება აქვთ, როგორც საქართველოს მიმართ, ისე ქართულ-აფხაზეთურ ურთიერთობებთან დაკავშირებით. აფხაზებს გააჩნიათ თავიანთი პოლიტიკური ხედვა, რის მიხედვითაც ქართული მხრიდან მოითხოვენ ომში დაშვებული შეცდომების

აღიარებასა და შემდგომ უკვე აფხაზეთის სუვერენულ სახელმწიფოდ ცნობას. გამომდინარე ქართული მხარის პოზიციებიდან სიტუაციის მსგავსი სცენარით განვითარება შეუძლებელია და ქართული მხარე კი გამოთქვამს ინტერესსა და სურვილს, რომ შედგეს დიალოგი. ორივე მხარის მიერ ჩამოყალიბებული არგუმენტებიდან და შეხედულებებიდან ჩანს, რომ ინტეგრაცია ხანგრძლივი პროცესის შედეგი იქნება ან სულაც შეუძლებელი.

ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებსა და მისი განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით საკუთარი აზრი გამოთქვა აფხაზმა პოლიტიკოსმა თემურ გულიამ, რომელიც ამბობს, რომ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს ხედავს, როგორც ურთიერთობებს ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის. აქვე აღნიშნავ, რომ მსგავსად თემურ გულიასა, როგორც აფხაზეთის პოლიტიკური ძალები ისე საზოგადოებაც ურთიერთობების განვითარების მსგავს სცენარს განიხილავს. სწორედ მოვლენების ასე განვითარების წინააღმდეგია ქართული მხარე და დღემდე ატარებს არაღიარების პოლიტიკას. თემურ გულია ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოსთან არანაირი კონტაქტი არუნდა იყოს, ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერამდე. ის ასევე გამორიცხავს ე.წ. ჟენევის დისკუსიებსაც და ამბობს, რომ ამ ფორმატის ურთიერთობა არ არის საჭირო მანამ სანამ შეთანხმება არ გაფორმდება. აფხაზი პოლიტიკოსი ასევე დადებითად აფასებს ხელშეკრულებას: „თანამშრომლობისა და სტრატეგიული პარტნირობის შესახებ“, რომელიც გაფორმდა აფხაზეთსა და რუსეთს შორის და აღნიშნავს, რომ მოლაპარაკებებში, რუსეთმა კიდევ ერთხელ დაადასტურა აფხაზეთის სახელმწიფო სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. ასევე რუსეთის ფედერაციამ თავის თავზე აიღო ფინანსური ხარჯები, რომლებიც გაერთიანებული ჯარების დაჯგუფებების ფორმირებისათვის იქნება საჭირო. აღნიშნული შეთანხმების თანახმად რუსეთმა აფხაზეთი უზრუნველყო საპენსიო და სამედიცინო საჭიროებების გარანტიით. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ გულია აღნიშნავს, არ არის საჭირო საერთაშორისო და საქართველოს მიერ აღიარება. ის ფაქტი, რომ რუსეთმა აფხაზეთი

უკვე აღიარა საკმარისია და შორეულ მომავალში განვითარების სხვადასხვა სცენარს განიხილავს. (გულია, 2017).

თემურ გულიას მოსაზრებას იზიარებს 2014-2016 წლებში აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი- ირაკლი ტუჟბაც, მისი თქმით აფხაზეთში საქართველოსთან დაკავშირებული დისკუსიები ნეგატიურ ხასიათს ატარებს და უმეტესწილად იგი ომთან, ადამიანურ მსხვერპლთან და ნგრევასთან ასოცირდება. ტუჟბა საუბრობს ქართულ-აფხაზური დიალოგის სპექტრზე და აღნიშნავს, რომ პრაქტიკულად არ არსებობს ურთიერთობების დადებითი სახით განვითარება და ყველაფერი პირიქით წლებთან ერთად უარესდება და ერთმანეთის ურთიერთუნდობლობა კი იზრდება. აფხაზი პოლიტიკოსი ასევე აქცენტს ამახვილებს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ფარგლებში ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ პროექტებზე, მისი აზრით მსგავსი პროექტების განვითარება ამ ეტაპისთვის შეუძლებელია სანამ ძალის გამოუყენებლობასთან დაკავშირებით შეთანხმება არ იარსებებს. ინტერვიუში აღნიშნულია ქართულ მედიაზე და იმ ინფორმაციაზე, რომელსაც საქართველო ავრცელებს, ამასთან დაკავშირებით ტუჟბა ხაზს უსვამს ქართული საინფორმაციო წყაროს მიმართ უნდობლობას, როგორც აფხაზი პოლიტიკოსების, ისე სამოქალაქო სექტორის მხრიდანაც. საბოლოოდ ირაკლი ტუჟბა იტოვებს იმედს, რომ მდგომარეობა და ღირებულებები საქართველოში გადაფასდება, რის მიხედვითაც მოხდება ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს თანაარსებობა და მათ მიერ პოლიტიკური კრიზისის დაძლევა, რაც მისი აზრით საშუალებას მისცემს საქართველოსაც და აფხაზეთსაც სწრაფად განვითარდნენ. (ტუჟბა, 2016)

ომის შედეგად დაშორებული მხარეები დღემდე რთულ სიტუაციაში არიან. შერიგების პოლიტიკა საქართველოს მხრიდან არცთუ ისე ეფექტურად მოქმედებს და მიმდინარეობს, რადგან დამაბრკოლებელი ფაქტორები მძლავრი და აქტიურია ტერიტორიაზე. უამრავი იძულებით გადაადგილებული პირი დღემდე იხსენებს აფხაზეთს და გამოთქვამს დაბრუნების იმედს. თუმცა ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ აფხაზები საოცრად ამაყები არიან. სწორედ აქედან გამომდინარე ისინი დღემდე

ელოდებიან ქართველებისგან შეცდომების აღიარებას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთში შეცდომები არამხოლოდ ქართული მხრიდან მომდინარეობდა არამედ აფხაზური მხრიდანაც. დროს ომით გაციებული ურთიერთობები არ შეუცვლია და საზოგადოება უნდა შეეცადოს მის დადებითად განვითარებას, საიდან გამომდინარეც პერიოდულად შეიძლება აღდგეს ურთიერთობები. (წამალაშვილი, 2004)

ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე და პერსპექტივებზე თავის ინტერვიუში ყურადღება გაამახვილა აწ უკვე დე ფაქტო აფხაზეთის პრეზიდენტმა ასლან ბჟანიამ. იგი ამ ორ მხარეს შორის დიალოგს განიხილავს, თუმცა ფორმატსა და ფორმას მნიშვნელოვნად არ თვლის. მისი თქმით მთავარია დიალოგი შედგეს და დიალოგის ფარგლებში ჩართული იყვნენ ადამიანები, რომელთა ინტერესებშიც პროცესის მშვიდობიან ჩარჩოებში მოქცევაა პრიორიტეტი. უპირველეს ყოვლისა ასლან ბჟანია პრიორიტეტად განიხილავს ნდობის აღდგენას. ასევე ნაბიჯების გადადგმას ეკონომიკურ სფეროშიც. (ბჟანია, 2020)

როგორც უკვე აღინიშნა, აფხაზეთის დამოკიდებულება ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებთან დაკავშირებით ნეგატიურია და თითქმის არცერთი პოლიტიკური ძალა არ განიხილავს მას დადებით კონტექსტში, თუმცა მნიშვნელოვანია დე ფაქტო აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის- ასლან ბჟანიას განცხადებები საქართველოსთან დიალოგის აუცილებლობაზე. საქართველოში ეს განცხადება დადებითად შეფასდა. კონფლიქტოლოგი გიორგი კანაშვილის თანახმად საქართველოსთან დიალოგის სურვილი გამომდინარეობს რუსეთის მზარდი ზეგავლენის დაბალანსების სურვილიდან. სწორედ ამიტომ აფხაზეთმა და საქართველომაც უნდა ჩამოაყალიბონ დიალოგის პლატფორმა, სადაც ქართული მხარის ინიციატივები კარგად იქნება გამოკვეთილი, მეორეს მხრივ კი აფხაზეთისთვის ნათელი უნდა გახდეს მათი დღევანდელი მდგომარეობა და კრიზისი. (კანაშვილი, 2020)

რაულ ხაჯიმბა დე ფაქტო აფხაზეთის ექს პრეზიდენტი გადაყენებულ იქნა პოსტიდან. ეს მოვლენა შეიძლება დადებითად შეფასდეს, რადგან როგორც ცნობილია ხაჯიმბა დე

ფაქტო აფხაზეთის ყველაზე პრორუსულ ლიდერად ითვლება. ხაჯიმბას როგორც აფხაზეთის სამოქალაქო საზოგადოება, ისე პოლიტიკური ელიტაც ბრალს დებდა ქვეყნის განვითარების შეფერხებაში. კორუფციის მაღლი დონე და დე ფაქტო აფხაზეთის მდგომარეობა, იგულისხმება ეკონომიკური უძრაობა და განვითარების დაბალი დონე დაკავშირებული იყო მის მმართველობასთან. სწორედ მსგავსი განცხადებების შედეგად იძულებული გახდა ასლან ხაჯიმბა პრეზიდენტობის პოსტი დაეტოვებინა. (კოტოვა & კახიშვილი, 2020)

აქვე უნდა აღინიშნოს დე ფაქტო აფხაზეთში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები, რომლებმაც შეიძლება შეცვალოს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების პერსპექტივები.

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება არაერთხელ შეეცადა ურთიერთობების დალაგებისა და გაუმჯობესების მიზნით ხმა მიეწვდინათ აფხაზ საზოგადოებამდე. სწორედ ამიტომ წამოიწიყეს კამპანია, რომელიც ემსახურებოდა აფხაზეთში გაევრცელებულიყო ქართული შეხედულებები. კამპანია „მშობიას“ სახელით იყო ცნობილი რაც ქართულ ენაზე „გამარჯობას“ ნიშნავს. ათასობით ქართველმა სცადა ხმა მიეწვდინათ აფხაზეთამდე და სოციალური ქსელის გამოყენებით გაავრცელეს მსგავსი მესიჯები. თუმცა აღსანიშნავია, რომ აფხაზებისგან მხოლოდ „ნახვამდის“ მივიღეთ აფხაზურ ენაზე. აფხაზეთის მსგავსი რეაქცია მიმართული და გამიზნული იყო დასავლეთისაკენ, რომლის მიხედვითაც აფხაზებს უნდოდათ ეჩვენებინათ, რომ მსგავსი კამპანიებით ქართველები ბოდიშს იხდიან, ანუ აღიარებენ ომის დანაშაულს და რომ საერთაშორისო საზოგადოებასთან და მათ შორის საქართველოსთანაც აფხაზები მართალნი არიან. აფხაზები მიიჩნევენ, რომ მათ ტერიტორიაზე ქართველის ადგილი არ არის და დამოკიდებულება, რომ „აფხაზეთი საქართველოა“ საქართველოს მხრიდან სრულიად უსაფუძვლოა და საქართველოს საერთაშორისო საზოგადოება შეცდომაში შეჰყავთ. (შარაშენიძე, 2017)

საბოლოოდ მოცემული არგუმენტის მიხედვით, იკვეთება აფხაზეთის დამოკიდებულება ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებთან დაკავშირებით და განსაკუთრებულად იკვეთება მათი ნეგატიური დამოკიდებულება. ეთნიკური მრავალფეროვნება და ეთნოცენტრიზმზე დაფუძნებული საზოგადოების წახალისება და მხარდაჭერა საგრძნობლად აფერხებს ურთიერთობების დადებითად განვითარებას. აქედან გამომდინარე საჭიროა საინფორმაციო კუთხით ძლიერება, რომელიც გათვლილი უნდა იყოს აფხაზ მოსახლეობაზე და მათი ცნობიერების ამაღლებაზე. საინფორმაციო განვითარება საშუალებას იძლევა ვითარება გამოსწორდეს და სტრატეგიული კომუნიკაცია აქტიურ ფაზაში გადავიდეს, რომლის მიზანიც აფხაზებისთვის საქართველოს შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდება იქნება. ეს უნდა იყოს წინ გადადგმული ნაბიჯი, რომლის პერსპექტივაშიც ურთიერთობების ნორმალიზაციის საწყისი ეტაპი უნდა განიხილებოდეს.

4.2 აფხაზეთის პოლიტიკური ძალების დამოკიდებულებაზე ფაქტორების გავლენა.

მიმდინარე ქვეთავში განხილულია აფხაზეთის მხრიდან ჩამოყალიბებული გარკვეული შეხედულებები საქართველოსთან დაკავშირებით და ქართულ-აფხაზური ურთიერთობების პერსპექტივები. ძირითადად განხილულია სხვადასხვა ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ აფხაზეთის განწყობაზე და დამოკიდებულებაზე ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანი ასპექტია აფხაზეთის პოლიტიკური ძალების დამოკიდებულება ქართულ-აფხაზურ ურთიერთობების მიმართ, და მთავარი თუ რა ფაქტორების გავლენის შედეგია მსგავსი დამოკიდებულება. მაგალითად. როგორც აღვნიშნე, გავლენის ფაქტორების მხრივ ნაშრომში განხილულია 1. ეთნიკური უმცირესობები და განსხვავებულობა, რომელიც ხაზს უსვამს ურთიერთობების სირთულეს. 2. მეორე

ფაქტორია საქართველოსა და დანარჩენი მსოფლიოს დამოკიდებულება აფხაზეთთან დაკავშირებით. დამოკიდებულება, რომელსაც აფხაზეთის მხარე ნეგატიურად აფასებს და ქართული მხარისგან მოითხოვს აღიარებასა და სხვა მნიშვნელოვან ნაბიჯებს. 3. მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი კი, რომელიც გავლენას ახდენს აფხაზეთის პოლიტიკურ ძალებზე და მათ შეხედულებებზე ქართულ-აფხაზურ ურთიერთობების პერსპექტივებთან დაკავშირებით, არის რუსეთი და მისი ინტერესები რეგიონში, რომლებიც მოგვიანებით იქნება განხილული. იგი მთავარი ფაქტორია ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში და დიდ ზეწოლას ახდენს აფხაზეთზე, რომ ამ უკანასკნელმა ვერ შეძლოს საქართველოსთან დაახლოება. ასევე 4. ფაქტორია აფხაზეთის რუსეთზე დამოკიდებულება სხვადასხვა სფეროებში, რომლებიც გავლენას ახდენენ აფხაზების პოლიტიკაზე და დამოკიდებულებებზე.

თავდაპირველად, გავლენის ფაქტორების ფარგლებში განხილულია: ეთნიკური დაპირისპირება და წინააღმდეგობა, რაც ხელს უშლის აფხაზეთის დაახლოებას საქართველოსთან. აქვე უნდა დაემატოს ურთიერთუნდობლობა ამ მხარეებს შორის, მხარეთა ეჭვები და აფხაზეთური პოლიტიკური ელიტის მხრიდან ქართველების ან საქართველოს მიტრის ხატად წარმოდგენა.

ეთნიკურმა განსხვავებამ და მრავალფეროვნებამ წარმოქმნა რიგი პრობლემებისა, რომლებსაც დღეისათვის დიდი გავლენა აქვს ამ ორ მხარეს შორის ურთიერთობების დადებითად წარმართვაზე. არსებულ მდგომარეობაში უნდობლობა აშკარა და გასაგებიცაა, რადგან ქართული მხარე ეჭვობს, რომ ქართველი ათასობით დევნილის დაბრუნების გარეშე აფხაზეთის პოლიტიკურ-სამართლებრივი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია აფხაზეთის სტატუსთან არსებითად საშუალებას მისცემს და გზას გაუადვილებს აფხაზეთში de-facto არსებულ ხელისუფლებას საქართველოსგან გამოყოფისკენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთში ვარაუდობენ, რომ ქართველი დევნილების იქ დაბრუნება დააბრკოლებს ამ პროცესს და დემოკრატიული არჩევნებისა და რეფერენდუმის ფარგლებში შესაძლოა ქართველებმა შეზღუდონ მათი საბჭოებისდროინდელი ავტონომიაც კი.

ამ მნიშვნელოვან ფაქტორებს კიდევ უფრო მეტად ამძიმებს მტრის ხატი, რომელიც მხარეებს ჩამოუყალიბდათ ერთმანეთის მიმართ. მსგავსი დამოკიდებულება მხარეებს კონფლიქტის პერიოდში ჩამოუყალიბდათ, თუმცაღა გამწვავდა ოფიციალური ურთიერთბრალდებების ფონზე და დღეს მოქმედი პროპაგანდის პირობებში ბევრად უფრო გამძლავრდა.

მეორე არგუმენტი, რომელიც გავლენას ახდენს აფხაზურ შეხედულებებზე და დამოკიდებულებებზე ეთმობა საქართველოს და საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულებას აფხაზეთის მიმართ. გამომდინარე იქედან, რომ აფხაზეთი მოითხოვს ქართული მხრიდან ომში დაშვებული შეცდომების აღიარებასა და აფხაზეთის დამოუკიდებლობას, საქართველოში ყალიბდება შეხედულებები და არც ქართული საზოგადოება და მათ შორის არცერთი ქართული მთავრობა არ აღიარებს აფხაზეთის სუვერენიტეტს. საქართველოს მხრიდან მსგავსი დამოკიდებულება გაღიზიანებას იწვევს აფხაზეთში. ასევე აუცილებლად უნდა აღინიშნოს შეთანხმება ძალის გამოუყენებლობის შესახებ თბილისსა და სოხუმს შორის, რომელსაც აფხაზები მოითხოვენ გაფორმდეს სანამ საქართველოსთან დიალოგსა და ურთიერთობების ფორმირებას დაიწყებენ.

ბევრი გამოცდილი მკვლევარი და პოლიტიკოსი განიხილავს ერთგვარ განმუხტვის პოლიტიკას, რომლის მიხედვითაც საქართველომ უნდა შეწყვიტოს აფხაზეთთან დაახლოების პოლიტიკა და მოვლენების განვითარება. საქართველოს მიზანი უნდა იყოს თვითგანვითარება, რადგან პოლიტიკის ექსპერტებში უკვე გაჩნდა აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს აფხაზეთის გარეშე არსებობა შეუძლია, ხოლო აფხაზეთს კი საქართველოს გარეშე გაუჭირდება. მსგავსი დებულებები გამომდინარეობს საქართველოს მიერ გატარებული პოლიტიკური კურსიდან აფხაზეთის მიმართულებით. ფაქტია აფხაზეთი საქართველოსგან დიდი რაოდენობით სოციალურ დახმარებას იღებს. ეს დახმარება ეხება, როგორც ეკონომიკის, ისე განათლებისა და მედიცინის სფეროს. პოლიტიკურად და სტრატეგიულად აფხაზეთი

სუსტი რეგიონია, რომელიც მძლავრი ძალის დახმარების გარეშე რთულ სიტუაციაში აღმოჩნდება. (შარაშენიძე, 2017)

საქართველოს პოლიტიკა ცალსახაა კონფლიქტთან დაკავშირებით. საქართველოს მხარე ცდილობს რბილი ძალის გატარებას და ამ გზით ოკუპირებული ტერიტორიებისთვის ჩვენებას, რომ საქართველო მიმზიდველია მათთვის და მასთან ურთიერთობა მეტი სარგებლის მომტანი. საქართველოს სახელმწიფოებრივი მიზანია ისეთი მომავლის უზრუნველყოფა, როდესაც ყველა მოქალაქე ისარგებლებს დემოკრატიული მმართველობის პრივილეგიებით, მსოფლიოში ინტეგრირებული, განვითარებული ეკონომიკით და იცხოვრებს ტოლერანტულ, მრავალეთნიკურ და კულტურულად მრავალფეროვან საზოგადოებაში. (საქართველოს მთავრობა) ეს მიდგომა ეფუძნება ყველა ევროპული ერის მიერ გაზიარებულ საერთო პრინციპებს და ღირებულებებს, რომლებიც აისახა ჰელსინკის საბოლოო აქტში. საქართველოს მთავრობა ცდილობს აფხაზეთის მოსახლეობისთვის მისაწვდომი გახადოს ყველა ის სარგებელი, რაც მოაქვს სახელმწიფოში მიმდინარე რეფორმების შედეგად მიღწეულ პროგრესს. კონკრეტულად, რომ განვიხილოთ საქართველოს პოლიტიკა ოკუპირებულ ტერიტორიასთან მიმართებაში შემდეგია: ეკონომიკური ხასიათის სავაჭრო ურთიერთობების გააქტიურების ხელშეწყობა გამყოფ ხაზებით დაშორიშორებულ მოსახლეობას შორის; ინფრასტრუქტურული და სატრანსპორტო პოლიტიკა, რაც გულისხმობს აფხაზეთის დანარჩენ საქართველოსთან დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. კერძოდ, გზების, წყლის, სატელეკომუნიკაციო და სხვა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია; საგანმანათლებლო რესურსების მიწოდება და მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა. ქართულ-აფხაზურ ენებზე სახელმძღვანელოების მიწოდება შესაბამის ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობის ნაწილისთვის; ჯანმრთელობის დაცვა, რომელიც გულისხმობს მოსახლეობის უზრუნველყოფას ხელმისაწვდომი ჯანდაცვის მომსახურების თანაბარი უფლებით; სახალხო დიპლომატია, რომელიც მდგომარეობს შემდეგში, ოკუპირებულ ტერიტორიებსა და საქართველოს შორის ურთიერთობის ყველა ფორმის ხელშეწყობა;

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის კულტურული მემკვიდრეობისა და იდენტობის დაცვისა და განვითარების უზრუნველყოფა; ინფორმაციის დაუბრკოლებელი გავრცელების პოლიტიკა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის; სამართლებრივ-ადმინისტრაციული ზომების უზრუნველყოფა, ასევე ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვისა და ადამიანის უსაფრთხოებისთვის ხელშეწყობა აფხაზეთში. (საქართველოს მთავრობა)

საქართველო 90- ანი წლების შუა პერიოდიდან დაწყებული აფხაზეთთან მიმართებაში ატარებს პოზიტიურ დისკრიმინაციას, იგულისხმება ის ცალმხრივი დათმობები, რომლებსაც საქართველო ახორციელებს აფხაზეთთან პოლიტიკაში და შედეგი არ აქვს. ამ თემასთან დაკავშირებით საუბრობს „კავკასიური სახლის“ აღმასრულებელი დირექტორი გიორგი კანაშვილი. მის მიერ ხაზი გაესვა საქართველოს მიერ განხორციელებულ რიგ პროექტებს, რომლებიც მიმართული იყო აფხაზეთთან დასაახლოვებლად. (კანაშვილი, 2017)

გიორგი კანაშვილი კონკრეტულად საუბრობს საქართველოს მიერ განხორციელებულ პროექტებზე და განიხილავს მათ პერსპექტივებს. თავდაპირველად განხილვის არეალში ხვდება- ელექტრო ენერჯის აფხაზეთი მხარისთვის უფასოდ მიწოდება და უფასო ჯანდაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთათვის. ბევრი მკვლევარი ამ პროგრამებს დადებითად აფასებს და ფიქრობს, რომ მსგავსი ნაბიჯებით აფხაზეთს საქართველოს დაახლოების პერსპექტივები იზრდება. თუმცა გიორგი კანაშვილი ფართო პროექტებსა და პროგრამებზე საუბრობს, რომლებმაც გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა შექმნას დიალოგის საჭიროება და სურვილი. ასევე კანაშვილი ყურადღებას ამახვილებს ქართულ-აფხაზეთ ურთიერთობებზე და მხარეებში შექმნილ მდგომარეობაზე. მისი აზრით ბოლო წლების ტენდენციის მიხედვით აფხაზეთის სუვერენიტეტი იკლებს რუსეთის გავლენის შედეგად და ბევრად უფრო დამოკიდებული ხდება რუსეთის ფედერაციაზე. თუ აფხაზეთისა და საქართველოს შედარება მოხდება, მაშინ ფაქტი აშკარაა, რომ საქართველო ცხოვრების დონითა და

განვითარებით ბევრად უფრო ახლოს დგას ევროპულ სახელმწიფოებთან ვიდრე ეს აფხაზეთზე შეიძლება ითქვას. (კანაშვილი, 2017)

მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც უნდა აღინიშნოს არის საქართველოს მხრიდან არაღიარების პოლიტიკა და მისი შედეგები, რასაც შემდგომ რუსეთის ფედერაცია თავის სასარგებლოდ იყენებს. საქართველოს არაღიარების პოლიტიკის შედეგად აფხაზეთი იმყოფება იზოლირებულ გარემოში. სწორედ ამ იზოლაციის ფარგლებში ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობები მჭიდროდ ჩამოუყალიბდა რუსეთთან, რის შედეგადაც გამოიკვეთა ტენდენცია, რომ აფხაზეთი სრულიად დამოკიდებული გახდა მასზე. როგორც უკვე აღვნიშნე აფხაზეთს არ აქვს კავშირები საერთაშორისო საზოგადოებასთან, რადგან იგი არ არის აღიარებული თანამეგობრობის მიერ და ეს ფაქტორი იწვევს სრულიად დამოკიდებულებას რუსეთზე. იზოლაციონიზმისა და საერთაშორისო თანამეგობრობასთან ურთიერთობების არქონის ფაქტი რუსეთის მხრიდან გამოყენებულ იქნა დადებითად, რითიც მან შეძლო უფრო მარტივად განხორციელებინა კონტროლი და ზეწოლა აფხაზეთზე. სწორედ ამ ზეწოლის შესამცირებლად იქნა საქართველოს მიერ სხვადასხვა სოციალური, ეკონომიკური თუ კულტურული პროგრამების განხორციელება. ამ პროგრამების დახმარებით საქართველოს მთავრობა იმედს იტოვებს, რომ აფხაზეთთან დიალოგის საწყისი ეტაპებისათვის ნაბიჯი უკვე გადადგმულია. (SCHLEIFER, 2015)

მეორე არგუმენტი რომ შევაჯამოთ, უნდა ითქვას, რომ საქართველოს არაღიარების პოლიტიკა განსაზღვრავს საერთაშორისო საზოგადოების პოლიტიკასაც. საერთაშორისო თანამეგობრობა აფხაზეთს არ აღიარებს სუვერენულობასა და დამოუკიდებლობას. აფხაზეთი აღიარებულია სულ ხუთი სახელმწიფოს მიერ. სწორედ მსგავსი დამოკიდებულება და არაღიარების პოლიტიკა ახდენს აფხაზეთის იზოლირებას დაწარჩენი საზოგადოებისგან, ეს კი თანმიმდევრულად ზრდის აფხაზეთის რუსეთზე დამოკიდებულებას და მისი გავლენის ქვეშ ყოფნას. (SCHLEIFER, 2015)

მესამე შემაფერხებელი არგუმენტი და ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს აფხაზეთის პოლიტიკურ ძალებსა და საზოგადოებაზე არის რუსეთი და მისი ინტერესები რეგიონში. თავდაპირველად სანამ რუსეთის ფაქტორის განხილვა მოხდება, რომელთაც გავლენა აქვთ აფხაზეთის დამოკიდებულებაზე ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა მოხდეს მიზეზების გააზრება, საიდან გამომდინარეც რუსეთს ინტერესები გააჩნია რეგიონში და ეს ინტერესები სასიცოცხლო მნიშვნელობისაა მისთვის. მიზეზების განხილვიდან გამომდინარე მეორე ქვეთავის ბოლო არგუმენტი დათმობილია აფხაზეთის დამოკიდებულების განმსაზღვრელ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორზე რუსეთის სახით. რუსეთის მირ გავრცელებული პროპაგანდა და ძალისმიერი მეთოდებით კონფლიქტებზე კონტროლის მოპოვება ერთ-ერთი მნიშვნელოვანია რუსეთისათვის.

ჰანს მორგენტაუს დიპლომატიის ოთხი ამოცანიდან ერთ-ერთი: სახელმწიფოები მზად უნდა იყვნენ კომპრომისისთვის ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არაა, რომელიც ხსნის საქართველო-რუსეთის კონფლიქტში რუსეთის მხარის სასიცოცხლო ინტერესს, თუ რატომ ვერ ამბობს რუსეთი კავკასიის რეგიონზე უარს და რა მიზნები ამოდრავებს მას. საქართველო ერთგვარი დერეფანია, რომლის საშუალებითაც რუსეთი ახერხებს კონტროლის შენარჩუნებას არამარტო კავკასიის რეგიონში, არამედ ცდილობს დასავლური სამყაროდან თავი შორს დაიჭიროს, ასევე აღწერს მოვლენას, რომელიც დაკავშირებულია დასავლეთის ნაკლებ ინტერესთან საქართველოსთან მიმართებით. (მორგენტაუ, 2011)

მეორე დამადასტურებელი არგუმენტი, რომელიც აღწერს რუსეთის შესაძლებლობებს და მის ძალას ადარებს საქართველოს ძალასთან არის შესაძლებლობების განაწილება სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო ურთიერთობებში (უოლცი)-ის მიხედვით მართალია სახელმწიფოები ფუნქციონალურად მსგავსი ერთეულები არიან, მაგრამ მათ შორის უზარმაზარი განსხვავებაა შესაძლებლობების მხრივ. გაანალიზებულია საქართველო-რუსეთის ფარდობითი ძალა და მათ შორის დიდი სხვაობა, რაც კონფლიქტის გადაწყვეტის ხელისშემშლელი ფაქტორია, რადგან საქართველო თავისი

სამხედრო შესაძლებლობებით ვერ დაუპირისპირდება რუსეთს და ვერ დააბალანსებს მის ძალას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სანამ საქართველო ვერ შეძლებს რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირებას, მანამ რუსეთი იქნება პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც შეაფერხებს ქართულ-აფხაზეთი ურთიერთობების განვითარებას და გავლენა ექნება აფხაზეთზე, რომლის მიხედვითაც ამ უკანასკნელს ნეგატიური დამოკიდებულება ექმნება საქართველოს შესახებ. ასევე ამ არგუმენტის გასამტკიცებლად გამოყენებულია შემდეგი მტკიცება, რომელიც დიპლომატიის ოთხი ამოცანით იხსნება. ამ შემთხვევაში ვიყენებთ დიპლომატიის ოთხი ამოცანიდან პირველს, რომლის მიხედვითაც; დიპლომატიამ უნდა შეაფასოს სახელმწიფოს მიზნები და ის ძალა, რომელიც მას ამ მიზნების მისაღწევად ფაქტობრივად და პოტენციურად აქვს და გამომდინარე აქედან განსაზღვროს, თუ რამდენად მომგებიანი ან ზარალის მომტანი შეიძლება იყოს ძალის სხვა სახელმწიფოს(ამ შემთხვევაში რუსეთის) წინააღმდეგ გამოყენება. (უოლცი, 2011) ; (მორგენტაუ, 2011) ;

გეოპოლიტიკურად საქართველო სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ქვეყანაა. პრაქტიკული თვალსაზრისით ეს იმას ნიშნავს, რომ თუ რუსეთი რაიმე ფორმით მოაქცევს საქართველოს თავისი პოლიტიკური დომინირების ქვეშ, ის შეძლებს სომხეთზე თავისი გავლენის ბოლომდე კონსოლიდირებას და, რაც მთავარია, გაავრცელებს ჰეგემონიას აზერბაიჯანზეც. ეს უკანასკნელი იმყოფება სომხეთთან ომის მდგომარეობაში, ხოლო მისი სამხრეთელი მეზობელი ირანი დასავლეთის მოწინააღმდეგეა რუსეთთან ერთად. შედეგად, საქართველო არის ერთადერთი გეოგრაფიული დერეფანი, რომლის მეშვეობით აზერბაიჯანს შეუძლია სტრატეგიული კომუნიკაცია როგორც დასავლეთთან, ისე აზერბაიჯანის მოკავშირე თურქეთთან. თუ საქართველო აღმოჩნდება რუსული დომინირების ქვეშ, აზერბაიჯანს ობიექტურად მცირე არჩევანი ექნება, გარდა მოსკოვის გავლენის სფეროში შესვლაზე დათანხმებისა. (ბატაშვილი, ამერიკის სტრატეგია და საქართველო, 2018) (ბატიაშვილი, 2017)

საბოლოოდ ფაქტორი, რომელიც აფხაზეთის დამოკიდებულებაზე გავლენას ახდენს არის აფხაზეთის დამოკიდებულება რუსეთზე- ეკონომიკის, პოლიტიკის თუ

კულტურის სფეროში. როგორც უკვე აღვნიშნე აფხაზეთს არ აქვს დიპლომატიური თუ ეკონომიკური ურთიერთობები საერთაშორისო საზოგადოებასთან და სწორედ ამიტომ საბოლოოდ რჩება ურთიერთობაში რუსეთთან. რუსეთის ფედერაცია დადებითად იყენებს ამ ფაქტს და ცდილობს ისარგებლოს აფხაზეთის უუნარობით, რომელიც გამოიხატება თანამეგობრობის წევრებთან დიპლომატიური კავშირების არქონით.

აფხაზეთის იზოლაციასთან დაკავშირებული საკითხი ხშირად ხდება დისკუსიის თემა. სწორედ ამ თემასთან დაკავშირებით საუბრობს „კავკასიური სახლის“ აღმასრულებელი დირექტორი გიორგი კანაშვილიც თავის ინტერვიუში. აფხაზეთის მხრიდან ხშირად მომდინარეობს ბრალდებები იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო აფხაზებს საერთაშორისო საზოგადოებასთან ურთიერთობის ყველა გზას კეტავს და აზოგადოების გადაადგილების პრობლემაც სწორედ მისგან მომდინარეობს. წლებია მიმდინარეობს განხილვა, თუ რა პროგრამით და რა სახის პასპორტებით მიეცემა აფხაზებს თავისუფალი გადაადგილების საშუალება. საქართველოს მთავრობა ნებისმიერი სახის პროექტზე თანახმაა იმ შემთხვევაში თუ არ შეილახება სახელმწიფო სუვერენიტეტი. განხილვის საგანი იყო ასევე გაეროს მიერ დამზადებული პასპორტები, რომლებითაც აფხაზები შეძლებდნენ სარგებლობას. (კანაშვილი, 2014)

აფხაზეთის რუსეთზე დამოკიდებულების ფაქტორი მნიშვნელოვანი გარდამტეხი ფაქტორია ქართულ-აფხაზურ და აფხაზურ-რუსულ ურთიერთობებში. ბოლო დროს განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე კი რუსეთის მხარეს გაცხადებული უნდობლობა ბადებს იმედს, აფხაზეთი შეძლებს დროთა განმავლობაში გამოვიდეს ამ დამოკიდებულებიდან და თავისი მისწრაფებები და პოლიტიკა გადააფასოს.

ოკუპირებულ რეგიონში რუსეთის მიერ გადადგმული ნაბიჯები მოწმობს, რომ რუსეთს დე ფაქტო აფხაზეთის რუსულ სამხედრო, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის დაჩქარება სურს. აფხაზეთის მხრიდან აღქმულია ეს ნაბიჯები და შეფასებული, როგორც აფხაზეთის დამოკიდებულების გაზრდა რუსეთზე. სოხუმში 2017 წლის 18 მაისს ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც საინფორმაციო-

საკოორდინაციო ცენტრი უნდა გახსნილიყო. აფხაზების წინააღმდეგობის მიუხედავად რუსეთმა მაინც მოახერხა ცენტრის გახსნა, თუმცა ნაკლები უფლებამოსილებით, ვიდრე განხილული იყო. აფხაზეთის მხრიდან მსგავსი წინააღმდეგობა შეიძლება ჩაითვალოს მისი დამოკიდებულებით რუსეთთან, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში იცვლება. (კომახია, 2017)

აფხაზეთის დამოკიდებულება რუსეთთან შეიძლება ერთ-ერთი ფაქტორით აისახოს. ეს არის რუსეთის მიერ არჩევნების კონტროლი, ან რუსეთის დაფინანსება სამხედრო და ეკონომიკურ სფეროში. აფხაზეთს რუსეთთან მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები გააჩნია, ექსპორტი და იმპორტი ბოლომდე რუსეთზეა დამოკიდებული და სწორედ ამიტომ სხვა გამოსავალი აღარ რჩება თუ არა აფხაზების მხრიდან რუსეთის ინტერესების გათვალისწინება პოლიტიკაში. წლების განმავლობაში დე ფაქტო რესპუბლიკამ გადადგა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ნაბიჯები, რამაც ეკონომიკური წინსვლა განაპირობა, თუმცა არა აფხაზური ეკონომიკა, არამედ რუსეთიდან შემომავალი ფინანსური სახსრები განაპირობებდა ამ წინსვლას. კონკრეტულად 2005 წლიდან დღემდე რუსეთის ფინანსურმა დახმარებამ 500 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. აღნიშნული თანხების უმეტესი ნაწილი სესხის სტატუსს ატარებს და ნებისმიერ დროს რუსეთის მხრიდან ამ თანხების მოთხოვნა აფხაზეთს რთულ პირობებში ჩააგდებს. ეკონომიკური სფეროს ფარგლებში, აფხაზური ტურიზმიც რუსეთზეა დამოკიდებული. ტურისტების მხრივ კი ყველაზე დიდი წილი მაინც რუს მოსახლეობაზე მოდის. ეს და სხვა ფაქტორები ნათლად წარმოაჩენენ აფხაზეთის ძლიერ დამოკიდებულებას რუსეთზე ფინანსურად და ეკონომიკურად. სწორედ აქედან გამომდინარე აფხაზეთს უწევს თავისი პოლიტიკის რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე გატარება. რაც რა თქმა უნდა დიდ გავლენას ახდენს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე და შეხედულებებზე. (ჭარაია, 2014)

მნიშვნელოვანია არ გამოვრიცხოთ რუსეთის ფაქტორი, ეს სახელმწიფო დღემდე აქტიურად გასცემს რუსულ პასპორტებს აფხაზებზე და ამით იზოლაციაში აქცევს მას. აფხაზების თქმით ბევრი სახელმწიფო საქართველოს მოთხოვნით უარს ეუბნება მათ

ქვეყანაში შესვლაზე ან გადაადგილებაზე. აღსანიშნავია, რომ აფხაზები ხშირად არგუმენტად იყენებენ, იმას, რომ მსგავსი იზოლაციის პოლიტიკა რუსეთის კლანჭებში აქცევს მას და კრემლთან უფრო მეტ დაახლოებას უწყობს ხელს. იზოლაციონიზმზე საუბრისას გიორგი კანაშვილმა ხაზი გაუსვა საკითხს და დასვა კითხვა, თუ რამდენად არის ყველაფერი საქართველოს მიერ განპირობებული? რადგან მისი თქმით საქართველო აფხაზებს საკუთარ მოქალაქეებად მიიჩნევს და ცდილობს თავისუფალი გარემო უზრუნველყოს მათთვის. ასევე კანაშვილს განხილული აქვს პასპორტებთან დაკავშირებული პოლიტიკური საკითხი და მისი რამდენიმე ვარიანტი. მათგან ერთ-ერთია: აფხაზებს აფხაზური პასპორტებით გადაადგილების საშუალება მიეცეთ, თუმცა ქართული მთავრობა ამ ფაქტს ვერ დათანხმდება, რადგან აფხაზური პასპორტების აღიარება ახლოს დგას აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის აღიარებასთანაც. მეორე ფაქტორია ნეიტრალური პასპორტები, რომლებიც წინა ხელისუფლებამ შესთავაზა აფხაზებს. დოკუმენტზე აღნიშნულია GE და უცხოეთში დოკუმენტებთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემა საქართველოს საელჩოების პასუხისმგებლობაში შევიდოდა. სწორედ ამიტომ ამ გეგმაზეც უარი იქნა გაცხადებული. მესამე ვარიანტი აფხაზების მხრიდან წამოიჭრა და ეს იყო გაეროს მიერ გაცემული პასპორტები ჰქონოდა მოსახლეობას, თუმცა ეს ინიციატივები 1990-იანებით, 2000-იანებით თარიღდება. დღეისათვის კი აფხაზებს ულტიმატუმის ტიპის მოთხოვნები აქვთ, რაც აფხაზური პასპორტების აღიარების მოთხოვნაში გამოიხატება. საქართველოს მთავრობისთვის ნებისმიერი გეგმა მისაღები იქნება, რომელიც გაუმარტივებს აფხაზებს გადაადგილებას, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ არ შეილახოს საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული ურღვეობის პრინციპი. (კანაშვილი, 2014)

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ აშკარაა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მიმართ აფხაზეთის ნეგატიური დამოკიდებულება, თუმცა მესამე არგუმენტის განხილვის შედეგად ჩანს, რომ რუსეთის გავლენა ამ დამოკიდებულებებზე დიდია. ამის ერთ-ერთ მიზეზად ასევე შეიძლება დასახელდეს რუსეთის მიზნები და ინტერესები რეგიონში. კავკასიაში რუსეთი ჰეგემონი ძალაა, რომელიც თავის უპირატესობას

ავრცელებს. დიდია გავლენა აფხაზეთის რუსეთზე დამოკიდებულებიდან გამომდინარე. აფხაზეთს უწევს საკუთარი პოლიტიკის რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე წარმართვა, რაც განსაზღვრავს საქართველოსთან ურთიერთობების პერსპექტივებსაც.

ძირითად ნაწილში მოყვანილი არგუმენტებიდან და აფხაზეთის დამოკიდებულებიდან ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებთან დაკავშირებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აფხაზეთს ნეგატიური დამოკიდებულება აქვს ჩამოყალიბებული საქართველოს მიმართ. ნეგატიური დამოკიდებულება იკვეთება დიალოგებთან დაკავშირებით. აფხაზეთის მხარე უარს ამბობს საქართველოსთან დიალოგზე მანამ სანამ რიგ ხელშეკრულებებს არ მოეწერება ხელი, რომლებზეც საუბარია მეორე თავში. ასევე აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის დამოკიდებულებაზე რიგი ფაქტორები ახდენენ გავლენას. პირველ რიგში ეს არის ეთნიკური დაპირისპირება, რომელიც დღემდე მიმდინარეობს, ქართველებთან გაუცხოება, უნდობლობა. მეორე ფაქტორია საქართველოს არაღიარების პოლიტიკა, რასაც ემატება საერთაშორისო საზოგადოების მხრიდანაც მსგავსი პოლიტიკა. სწორედ ეს ახდენს აფხაზეთის იზოლაციას მსოფლიოსგან და უფრო მეტად ხდის დამოკიდებულს რუსეთზე. მესამე ფაქტორი და ყველაზე მნიშვნელოვანი არის რუსეთი და მისი ინტერესები რეგიონში, რომლებიდან გამომდინარეც ფორმირდება რუსეთის ზეწოლა აფხაზეთზე და მის მიერ ტერიტორიის კონტროლი. რუსეთი აფხაზეთზე ზეწოლას ახდენს, როგორც პოლიტიკურად ისე ეკონომიკურადაც და ხდის მასზე დამოკიდებულს, რათა ამ უკანასკნელმა ვერ შეძლოს დამოუკიდებლად განვითარება ან საქართველოსთან ურთიერთობების აღდგენა. მეოთხე ფაქტორია უკვე დე ფაქტო აფხაზეთის დამოკიდებულება რუსეთზე სხვადასხვა სფეროში: ეკონომიკის, პოლიტიკის თუ კულტურის.

საბოლოოდ მეორე თავის შეჯამების სახით, უნდა აღინიშნოს აფხაზეთის ნეგატიური დამოკიდებულება ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებთან დაკავშირებით. ამ დამოკიდებულებებზე კი გარვეული ფაქტორები ახდენენ გავლენას, რის გათვალისწინებითაც დე ფაქტო აფხაზეთს უწევს თავისი პოლიტიკის განხორციელება.

ბოლო დროს განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, დადებითი ნოტაც შეინიშნება დიალოგის პერსპექტივებთან დაკავშირებით. ასლან ბჟანიას მიერ დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტობის პოსტის დაკავების შედეგად, გაჟღერებულ იქნა განცხადებები საქართველოსთან ურთიერთობების მხრივ და პერსპექტივები წარმოქმნა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთი დროთა-განმავლობაში ცდილობს რუსეთის დამოკიდებულებიდან გამოსვლას და დამოუკიდებელ ერთეულად არსებობას. რუსეთთან დაშორება არ შეიძლება საქართველოსთან დაახლოებად ჩაითვალოს, თუმცა მოვლენების მსგავსი განვითარების პერსპექტივები შეიძლება წარმოიქმნას.

დასკვნა

საქართველოში კონფლიქტის საწყისი ნიშნები უკვე საბჭოთა კავშირის დაშლამდე გამოჩნდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი დაპირისპირება გამწვავდა და აფხაზეთის ომში გადაიზარდა. ის, რომ საქართველო სსრკ-ს წინააღმდეგ წავიდა და დამოუკიდებლობა გამოაცხადა, უკმაყოფილებას იწვევდა სოციალისტურ ბანაკში, სწორედ ამიტომ მოხდა აფხაზეთში ეთნიკური უმცირესობების წახალისება და საბოლოოდ სიტუაციის ომამდე მიყვანა. აფხაზეთის ომმა დიდი გავლენა იქონია, როგორც საქართველოზე, ისე აფხაზეთზეც.

ომის შედეგად საქართველოს ჩამოშორდა აფხაზეთის მხარე და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. სწორედ აფხაზეთის თვითგამოცხადებული დამოუკიდებლობა აღიარა რუსეთმა 2008 წელს. ამით რუსეთმა ხაზი გაუსვა მის ინტერესებს რეგიონში და აფხაზეთზე კონტროლს. რუსეთის ფედერაციისთვის საქართველოს კონფლიქტურ მდგომარეობაში ჯერ შეყვანა და შემდეგ ამ პროცესების გახანგრძლივება საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ნაწილია. გამომდინარე იქედან, რომ 90-იანი წლებიდან უკვე საქართველო აფიქსირებს დასავლური კურსისკენ სწრაფვას, რუსეთი წლებია ცდილობს ამ კურსის შეცვლას და აგრესიული ძალებით საქართველოს იძულებას დაიჭიროს ან ნეიტრალიტეტი ან პრიორიტეტად რუსეთი აქციოს.

საქართველოს დასავლური კურსი ხაზს უსვამს ქართულ ინტერესებსა და ღირებულებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება და ხელს უშლის რუსეთის ინტერესებს რეგიონში. საქართველოს სურვილი გამხდარიყო ნატოსა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფო, ძვირად დაუჯდა. რუსეთის ფედერაცია თავისი ინტერესებიდან გამომდინარე ეწინააღმდეგებანატოსა და ევროკავშირის გაფართოვებას თავის საზღვრებთან ახლოს. სწორედ ამიტომ აღმოჩნდა საქართველო მსგავს სიტუაციაში.

აფხაზებს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებთან დაკავშირებით დამოკიდებულება აქვთ ჩამოყალიბებული. ამ დამოკიდებულებაზე კი რიგი ფაქტორები ახდენენ გავლენას. აფხაზეთის პოლიტიკური და სამოქალაქო საზოგადოება ნეგატიურად აღიქვამს საქართველოსთან დიალოგს ძალის გამოუყენებლობის შეთანხმების გარეშე. თითქმის ყველა პოლიტიკური ლიდერი ურთიერთობებს ნეგატიურად აფასებს და საუბრობს ურთიერთუნდობლობასა და ომის დანაშაულებზე, რომლებიც ქართულმა მხარემ უნდა აღიაროს. აფხაზეთში კონფლიქტი ეთნიკურ ხასიათს ატარებდა და დღემდე გრძელდება. სწორედ ამ ნეგატიურ დამოკიდებულებაზე გავ;ენას ახდენს ფაქტორები, როგორებიცაა: ეთნიკური ფესვები; საქართველოს დამოკიდებულება, რომელიც გაღიზიანებას იწვევს აფხაზეთში და ასევე იზოლირებულს ხდის; რუსეთის ინტერესები და გავლენა და აფხაზეთის დამოკიდებულება რუსეთზე- ეკონომიკის, კულტურისა და პოლიტიკის სფეროებში. აფხაზეთი იზოლირებულ გარემოში არსებობს, რადგან საერთაშორისო საზოგადოება არ აღიარებს მის სუვერენიტეტს. სწორედ ამის გამო ერთადერთი ოფიციალური მოკავშირე და მფარველი ეკონომიკისა თუ პოლიტიკის სფეროში რუსეთია. რუსეთი კი კარგად ახერხებს თავისი ინტერესების გატარებას სუსტ აფხაზეთში.

აფხაზეთის რუსეთზე დამოკიდებულების ფაქტორი მნიშვნელოვანი გარდამტეხი ფაქტორია ქართულ-აფხაზურ და აფხაზურ-რუსულ ურთიერთობებში. ბოლო დროს განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე კი რუსეთის მხარეს გაცხადებული უნდობლობა ბადებს იმედს, აფხაზეთი შეძლებს დროთა განმავლობაში გამოვიდეს ამ დამოკიდებულებიდან და თავისი მისწრაფებები და პოლიტიკა გადააფასოს.

ბოლო დროს განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, დადებითი ნოტაც შეინიშნება დიალოგის პერსპექტივებთან დაკავშირებით. ასლან ბჟანიას მიერ დე ფაქტო

რესპუბლიკის პრეზიდენტობის პოსტის დაკავების შედეგად, გაჟღერებულ იქნა განცხადებები საქართველოსთან ურთიერთობების მხრივ და პერსპექტივები წარმოქმნა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთი დროთა-განმავლობაში ცდილობს რუსეთის დამოკიდებულებიდან გამოსვლას და დამოუკიდებელ ერთეულად არსებობას. რუსეთთან დაშორება არ შეიძლება საქართველოსთან დაახლოებად ჩაითვალოს, თუმცა მოვლენების მსგავსი განვითარების პერსპექტივები შეიძლება წარმოიქმნას.

რომ შევაჯამოთ აუცილებელია აღვნიშნოთ საქართველოს თანამშრომლური ურთიერთობა აფხაზეთის რეგიონში და მის მიერ გატარებული რბილი ძალა, რომლის დახმარებითაც საქართველო ცდილობს დაანახოს ოკუპირებულ ტერიტორიებს, რომ მიმზიდველი ქვეყანაა და მეტი სარგებლის ნახვა შეიძლება მასთან ურთიერთობით. საქართველოს შემუშავებული აქვს სტრატეგია სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის მხრივ ოკუპირებულ ტერიტორიასთან, თუმცა ამ თანამშრომლობას თან ახლავს დამაბრკოლებელი გარემოებები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დამოკიდებულება ერთგვარ გაღიზიანებას იწვევს აფხაზეთში და ის ბენეფიტები, რომლებსაც საქართველო მათ სთავაზობს, აფხაზეთის მხრიდან აღიქმება ისედაც დამსახურებულად. აფხაზეთი რიგ პირობებში საქართველოს ვალდებულადაც კი თვლის რომ მსგავსი ნაბიჯებით და პოლიტიკით საქართველო დანაშაულს აღიარებს და ცდილობს აფხაზეთის დახმარებას, რათა საკუთარი დანაშაული გადაფაროს ამ ბენეფიტებით.

საბოლოოდ ქართულ-აფხაზეთური ურთიერთობები დღეისათვის რთულად აღსაქმელია, რადგან საქართველოსთან დამოკიდებულებები ნეგატიურია და საქართველო მტრად აღქმული. ურთიერთობებს, როგორც უკვე აღვნიშნე რიგი ფაქტორები აბრკოლებს, მაგალითად, ურთიერთუნდობლობა, საქართველოს მტრის ხატად წარმოჩენა, რუსეთის გავლენები და აფხაზეთის რუსეთზე დამოკიდებულება. ამ ფაქტორების გავლენით საქართველოსა და აფხაზეთს შორის დიალოგი ფერხდება.

ბიბლიოგრაფია

- Agreement on a Cease-Fire and Separation of Forces,, S/1994/583 (05 14, 1994).
- Akaba, N., & Khintba, I. (2011). *Transformation of the Georgian-Abkhaz conflict:rethinking the paradigm*. London: assistance of the European Union.
- CONSTITUTION. (1936. 1978.). *UNION OF SOVIET SOCIALIST REPUBLICS*.
- Dale, C. (1997, Augus 1). *The Dynamics and Challenges of Ethnic Cleansing: The Georgia-Abkhazia Case*. Retrieved from WRITENET: <https://www.refworld.org/docid/3ae6a6c54.html>
- Felenhauer, P. (2008, 10 14). *THE RUSSIAN-GEORGIAN WAR WAS PREPLANNED IN MOSCOW*. Retrieved from The Jamesown: <https://jamestown.org/program/the-russian-georgian-war-was-preplanned-in-moscow/>
- Gerrits, A. W., & Bader, M. (2016). *Russian patronage over Abkhazia and South Ossetia: implications fo conflict resolution*. Masarykova Universita v Brne.
- Kirova, I. (2012). *Public Diplomacy and Conflict Resolution: Georgia, Abkhazia, Russia and South Osetia*. Los Angeles: Figueroa Press.
- SCHLEIFER, M. (2015, 07 12). *The Impossible Independence of Abkhazia*. Retrieved from Center for International Private Enterprise: https://www.cipe.org/blog/2015/12/07/the-impossible-independence-of-abkhazia/?fbclid=IwAR2g9T28BxrCxzROEjIGED05PP1iDtOvtn--C_5EE7Dj-vU6HLLQoME1rm0
- Schwartz, M., Barnard, A., & Chivers., C. J. (2008, 08 09). *1,500 Reported Killed in Georgia Battle*. Retrieved from New-York Times: <https://www.nytimes.com/2008/08/10/world/europe/10ossetia.html#:~:text=GORI%2C%20Georgi a%20%E2%80%94%20Russian%20air%20attacks,the%20area%20with%20fleeing%20refugees>.
- Watch, H. R. (1995, 03 01). Georgia/Abkhazia: Violations of the Laws of War and Russia's Role in the Conflict. *Refworld*, 1-. Retrieved from Refworld: <https://www.refworld.org/docid/3ae6a8274.html>
- Кокошин, А. (2004). Конфликт между Грузией и Абхазией не может быть разрешен без участия России - Кокошин. *риа новости*.
- ახალაია, ლ. (2018). გრიგორი კარასინის ინტერვიუ. *პირველი არხი*.
- ბატაშვილი, დ. (2018, 05 01). *ამერიკის სტრატეგია და საქართველო*. Retrieved from საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი: <https://www.gfsis.org/ge/blog/view/825>
- ბატაშვილი, დ. (2019, 08 25). *სიმართლე 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ*. Retrieved from Civil.ge: <https://civil.ge/ka/archives/317771>

- ბატიაშვილი, ზ. (2017, 05 22). თურქეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკა რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტში. Retrieved from საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი: <https://www.gfsis.org/ge/blog/view/710>
- ბილანიშვილი, გ. (2018, 01 04). რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები და საქართველოს უსაფრთხოების სისტემა. Retrieved from КЦГТВУДИ АЦГТВФЕШАУТ: <https://www.gfsis.org/ge/blog/view/781>
- ბჟანია, ა. (2020, 01 16). სოხუმსა და თბილისს შორის დიალოგი უნდა იყოს, როგორ ფორმატში, რა ფორმით, მნიშვნელობა არ აქვს. (კ. ბენდელიანი, Interviewer)
- გამახარია, ჯ. (2020, 06 14). ჯემალ გამახარია საქართველოს ისტორიის დამახინჯების მორიგ მცდელობას ეხმიანება. Retrieved from Timer: <https://www.timer.ge/jemal-gamakharia-saqarthvelos-istoriis-damakhinjebis-morig-mcdelobas-ekhmianebe/>
- გამახარია, ჯ. (n.d.). SCARA. Retrieved from აფხაზეთი: მოკლე ისტორიული ცნობა: <https://scara.gov.ge/ru/-/2010-03-17-13-52-36/51-afkhazethis-mokle-istoriuli-cnoba.html>
- გულია, თ. (2017, 12 19). აფხაზი პოლიტიკოსი: საქართველოსთან ურთიერთობას ვხედავ, როგორც კავშირს ორ სუვერენულ ქვეყანას შორის. (ნ. თოლორდავა, Interviewer)
- ელუარდ მევარდნაძის გზა რუსეთისკენ – დსთ. (2013, 07 05). Retrieved from მედია Line: [https://medialinege.wordpress.com/2013/07/05/%E1%83%94%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%96%E1%83%90-%E1%83%A0/](https://medialinege.wordpress.com/2013/07/05/%E1%83%94%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%96%E1%83%90-%E1%83%A0/)
- ზურაბიშვილი, დ. (2018, 11 23). ვარდების რევოლუცია იყო ძალიან მნიშვნელოვანი მიღწეა ქვეყნის ცხოვრებაში. (ნ. მჭედლიშვილი, Interviewer) Retrieved from რადიო თავისუფლება: <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%A7%E1%83%9D-%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E>
- თარხნიშვილი, ნ. (2018, 09 27). რადიო თავისუფლება. Retrieved from <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%94%E1%83%91%E1>
- კავაძე, ა. (2020). *Foreign Policy of contemporary Georgia: formulation, decision making and implementation*. Tbilisi.
- კანაშვილი, გ. (2014, 07 29). "თუ აფხაზებს პრობლემების მოგვარება სურთ, საქართველოს მთავრობასთან კონტაქტზე უნდა გავიღწიან". (ნეტგაზეთი, Interviewer)

- კანაშვილი, გ. (2015). *რუსეთის რბილი ძალის პოტენციალი საქართველოში*. თბილისი: კავკასიური სახლი.
- კანაშვილი, გ. (2017, 10 10). *მეორე მხარე, ანუ რატომ ვერ იმუშავენს თორნიკე შარაშენიძის აფხაზური პოლიტიკა*. Retrieved from Civil Georgia: <https://old.civil.ge/geo/article.php?id=31652>
- კანაშვილი, გ. (2020, 01 16). *აფხაზები მზად არიან მოლაპარაკებებისთვის*. Retrieved from ინტერპრესნიუსი: <https://www.interpressnews.ge/ka/article/581246-giorgi-kanashvili-bzhanian-4-5-clis-ganmavlobashi-apxazetshi-mtavari-piri-ikneba-mis-natkvamshi-sainteresoais-rom-isini-mzad-arian-molaparakebistvis/>
- კანაშვილი, გ. (2020, 01 16). *განცხადება დე ფაქტო აფხაზეთის პრეზიდენტის ინტერვიუზე*. Retrieved from ინტერპრესნიუსი: <https://www.interpressnews.ge/ka/article/581246-giorgi-kanashvili-bzhanian-4-5-clis-ganmavlobashi-apxazetshi-mtavari-piri-ikneba-mis-natkvamshi-sainteresoais-rom-isini-mzad-arian-molaparakebistvis/>
- კომახია, მ. (2017, 07 05). *კრემლის პოლიტიკა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ახალ ეტაპზე გადადის*. Retrieved from Roundeli Foundation: <https://www.gfsis.org/ge/blog/view/726>
- კოტოვა, მ., & კახიშვილი, ნ. (2020, 01 13). *რა ხდება აფხაზეთში*. Retrieved from ნეტგაზეთი: <https://netgazeti.ge/news/419495/>
- კრივენიუკი, ა. (2014, 01 16). *რუსულ-აფხაზური მეგობრობის აუტანელი სიმსუბუქე*. Retrieved from Heinrich boll stiftung: <https://ge.boell.org/ka/2014/01/16/rusul-apxazuri-megobrobis-autaneli-simsubuke>
- მთავრობა, ს. (2010). *ჩართულობა თანამშრომლობის გზით*. თბილისი: საქართველოს მთავრობა.
- მორგენტაუ, ჰ. (2011). დიპლომატიის ოთხი ამოცანა. ა. ჯერვისი, & რ. ჯერვისი-ში, *საერთაშორისო პოლიტიკა* (გვ. 140-150). თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- პაპავა, ვ. (2013, 10 12). რუსეთთან ომის შემდგომ საქართველოში გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის ზოგიერთი თავისებურების შესახებ. In *ქართული პოლიტიკა* (pp. 65-69). ვლადიმერ პაპავა. Retrieved from <https://www.mythdetector.ge/ka/myth/gantskhadeba-titkos-2008-clis-ruset-sakartvelos-omis-dros-dasavleti-mkholod-cqlit-da-pampersit>
- რეგიონული მედიის ქსელი, . (2013). *2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი: ქრონოლოგია*. Reporter.
- საქართველოს მთავრობა. (n.d.). *სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ- "ჩართულობა თანამშრომლობის გზით"*. Retrieved from Gov.ge: [http://gov.ge/files/224_31227_132584_SMR-Strategy-ge\(1\).pdf](http://gov.ge/files/224_31227_132584_SMR-Strategy-ge(1).pdf)
- ტუქუა, ი. (2016, 10 07). "ურთიერთობების ნორმალიზაციისთვის ჩვენ მაინც მოგვიწევს დიალოგის დაწყება". (ნ. თოლორდავა, Interviewer)
- უოლცი, კ. (2011). მსოფლიო პოლიტიკის ანარქიული სტრუქტურა. რ. არტი, & რ. ჯერვისი-ში, *საერთაშორისო პოლიტიკა* (გვ. 35-45). თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

- შარაშენიძე, თ. (2017, 10 09). "რატომ არ მუშაობს საქართველოს აფხაზური პოლიტიკა". Retrieved from Civil Georgia, Tbilisi: <https://old.civil.ge/geo/article.php?id=31648>
- შარაშენიძე, თ. (2017, 10 09). რატომ არ მუშაობს საქართველოს აფხაზური პოლიტიკა. თბილისი, საქართველო. Retrieved from Civil Georgia, Tbilisi: <https://old.civil.ge/geo/article.php?id=31648>
- შარაშენიძე, თ. (2017, 10 09). რატომ არ მუშაობს საქართველოს აფხაზური პოლიტიკა. Retrieved from Civil Georgia, Tbilisi: <https://old.civil.ge/geo/article.php?id=31648>
- ჩიტაძე, ნ. (2011). გეოპოლიტიკა. თბილისი.
- ჩიტაძე, ნ. (2011). საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების სამართლებრივი სტატუსი:წარსული, აწმყო, მომავალი. თბილისი.
- ჩიტაძე, ნ. (2018). მსოფლიო პოლიტიკაში აშშ-ის და რუსეთის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური გავლენის შედარებითი ანალიზი. თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევს ფონდი 2018 წელი.
- წამალაშვილი, ე. (2004, 10 14). ართველებისა და აფხაზების ომის შემდგომი ურთიერთობა - ვინ და როგორ ცდილობს ამ ორ ხალხს შორის კონტაქტების განახლებას. Retrieved from რადიო თავისუფლება: <https://www.radiotavisupleba.ge/a/1537653.html>
- ჭარაია, ვ. (2014, 10 21). ანალიზი:აფხაზეთის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა. Retrieved from კავკასიური სახლის ანალიტიკური პორტალი: <http://regional-dialogue.com/economic-and-social-state-of-abkhazia/>
- ჯიშკარიანი, დ. (2019, 03 06). როგორ იქმნება ნაციონალური იდენტობა აფხაზეთში – დავით ჯიშკარიანი. Retrieved from Netgazeti: <https://netgazeti.ge/news/346165/>